# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 1 მარტი, 2013 წელი.

№39 (7166)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## სამართლის მოლოდინში

3



## „ნაცმოძრაობა“ უკან არაფერზე დაიხევს, არც სისხლისღვრას მოერიდება და არც საკუთარი ხალხის მტკიცე ნების იგნორირებას

4

## დასაქმება - პიარი ბიუჯეტის ხარჯზე არჩევნების წინ

6

## სააკაშვილმა გოგოლი გაიხსენა

8

## „უმწეოები“ „ლექსუსებითა“ და „ტოიოტა ლენდ-კრუიზერებით“ დასეირნობენ

2



## ნაციო-ნალური შოუ რაბათში

5

ნომრის კარიკატურა




PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# პრემიერი ევროსაბჭოელებს თვითმმართველობის რეფორმებზე ესაუბრა



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ევროსაბჭოს რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა კონგრესის დელეგაციას შეხვდა.**

ოფიციალური ცნობით, შეხვედრაზე მხარეებმა თვითმმართველობის სფეროში არსებული მდგომარეობა და პრობლემები განიხილეს.

— საუბარი ასევე შეეხო თვითმმართველობის რეფორმას, — აცხადებენ პრემიერის ადმინისტრაციაში.

# რაში იხარჯებოდა თავდაცვის ინფრასტრუქტურისთვის გამოყოფილი თანხა?

**საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ და პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა, კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად, მარნეულის სამხედრო ნაწილი მოინახულეს.**

მინისტრი, კომიტეტის თავმჯდომარე და კომიტეტის წევრები ადგილზე გაეცნენ ბრიგადის ინფრასტრუქტურას, დაათვალიერეს ბრიგადის სასადილო, მედპუნქტი, სამხედრო ბრიგადის ყაზარმები და იქ არსებულ მძიმე ვითარებაზე ისაუბრეს.

როგორც თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიმ განაცხადა, სა-



სწრაფოდ მოწესრიგდება სამხედრო ინფრასტრუქტურა, სადაც გაუსაძლისი პირობებია. ამის თაობაზე იგი უკვე ესაუბრა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს და მისგან ამ საკითხში მხარდაჭერა მიიღო.

მისივე თქმით, ბუნებრივია, იკვეთება დანაშაულის ნიშნები, ვინაიდან 2004 წლიდან 2008 წლებში საქართველოს თავდაცვის უწყებაზე ხუთნახევარი მილიარდი დაიხარჯა, მაგრამ არც სამხედრო ნაწილებს და არც ინფრასტრუქტურის 80%-ს არაფერი ეტყობათ იმისა, რომ ბიუჯეტიდან ამდენი თანხაა გახარჯული.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით კი, იგი ნანახისგან შოკშია.

**ინტერპრესი**



◎ გაიაფებული პრეზიდენტი

# „უმწეოები“ „ლექსუსებითა“ და „ტოიოტა ლენდ-კრუიზერებით“ დასეირნობენ

**რამდენიმე დღის წინათ, ალბათ, ყველა ნორმალურ ადამიანს გულს აუჩუყებდა და ცრემლს მოგვრიდა ის კადრები, ჩვენი ონავარი პრეზიდენტი თუ ნაპრეზიდენტალი სახეზე ყალბსევდაგადაკრული რომ ეფერებოდა ერთ-ერთ მოქალაქეს და წუხდა, რა საშინელება ჩაიდინა ამ მთავრობამ, უმწეო ოჯახს როგორ მოგიხსნა დახმარება და რა დღეში ჩაგაგდოო.**

ისევ ცრუობს მიშიკო. მაპატიოს ქალბატონმა, შეიძლება კი არა, ახლაც მჯერა, რომ მართლაც უმწეოა მისი ოჯახი და დახმარება სჭირდება. მაგრამ ეს აფერისტი პრეზიდენტი ვისთანაც გამოჩნდება, ყველას სახელს უფუჭებს და ეჭვქვეშ აყენებს მათ რეპუტაციას (ისევ პატიებას ვთხოვ ქალბატონს). ოქტომბრის შემდეგ გახდა იგი უმწეო? თუ მანამდეც იყო გაჭირვებული და სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი? სად იყო პრეზიდენტი და მისი რაზმი? რატომ არ ეხმარებოდა ამ და უამრავ ოჯახს? თუ ხიდების, გზებისა და ატრაქციონების შენებით აბოლებდა საქართველოს და ხალხი ფეხებზე ეკიდა.

ახლა მივყვეთ ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ჩატარებულ კვლევას. რატომ შეუჩერდა შემწეობა 5936 ოჯახს და შეუწყდა ამგვარი დახმარება 11847 ოჯახს? როგორც სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელმა **ნოე ქინქლაძემ** განაცხადა, ბოლო დროს გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია უმწეოთათვის საარსებო შემწეობის შეწყვეტის და შეჩერების ფაქტმა. მისი თქმით, **სოციალური მომსახურების სააგენტომ აწარმოა დაკვირვება, რომლის საფუძველზეც გამოიკვეთა, რომ ბაზაში უმწეოთა რაოდენობის ზრდა უკავშირდებოდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, კერძოდ, არჩევნებს.**

მისივე თქმით, 2010 წლის მთავრობის 126-ე დადგენილების თანახმად, სოციალური მომსახურების სააგენტო უფლებამოსილია, გამოითხოვოს ინფორმაცია შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან, შემოსავლების სამსახურიდან და საჯარო რეესტრიდან.

ალინიშნული დადგენილების მოთხოვნით და ბაზების შედარების საფუძველზე, სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება, საარსებო შემწეობის მიღება შეეჩერებინა 5935 ოჯახისთვის, 11 846 ოჯახისათვის კი -— შეეწყვიტა.

**ქინქლაძის თქმით, შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ბენეფიციარებს შორის, 50 000 ლარზე მეტი წლიური შემოსავალი დაუფიქსირდა 32 ოჯახს, 40-დან 50 ათასამდე ლარზე მეტი — 31 ოჯახს, 20-დან 40 ათასამდე — 392 ოჯახს, 10-დან 20 ათასამდე — 2363 ოჯახს, 5-დან 10 000-მდე კი — 6 147 ოჯახს.**

უფრო მეტიც, შემწეობის თანხას იღებდნენ სხვადასხვა უწყებათა თანამშრომლები — კერძოდ, **პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის, მუნიციპალიტეტების, თბილისის მერიის სამსახურებისა და ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული სტრუქტურის თანამშრომლები. რამდენიმე ოჯახს კი დაუფიქსირდა ბოლო წლებში გამოშვებული ძვირადღირებული ავტომობილები. მათ შორის 2011 წლის „ლექსუსი“ და „ტოიოტა ლენდ-კრუიზერი“. საჯარო რეესტრის ბაზაში კი არსებობს ე. წ. უმწეო, რომელიც... ათეულობით ბინის იპოთეკარია.**

ყველაზე გულმოსაკლავია ის ფაქტი, რომ ნაძირალა ნაცებმა თავიანთი მაქინაციებით ისე გასვარეს ათასობით ადამიანი, რომ მართლაც შეჭირვებულებსა და გაღატაკებულებსაც გაუფუჭეს სახელი. რა გასაკვირია, როდესაც ნაპრეზიდენტალი ამაყად ამბობდა ერთი წლის წინათ პარლამენტში გამოსვლისას — რა „გაღლეტილიც“ იყო მერაბიშვილი, ახლაც ისეთი გაღლეტილიაო, რა კორუფციაზე საუბარიო.

**შენ არ გეხსომება მიშა, მაგრამ ჩვენ გვახსოვს, რადგან მაგრად ვიხალისეთ. იქნებ მერაბიშვილიც იღებდა, მიშიკო ბატონო, უმწეოთა დახმარებას?**

**მამუკა ვაშაკიძე**



◎ ფეისბუქიდან

# წერტილოვანი აზრები...

არ ვიცი რატომ, მაგრამ მხოლოდ შოუს დონეზე მაინტერესებს, თუ როგორი ზეწოლა და ფინანსური მაქინაციები ტრიალებდა ტელეკომპანია „იმედის“, ბანკ „ქართუს“ დ.ა.შ მიმართ.

არ ვიცი რატომ, მაგრამ უფრო ის მაწუხებს:

1. თუ რატომ თავხედობენ და აყენებენ შეურაცხყოფას და ცდილობენ „გონივრული ეჭვის“ საფუძველზე გაჩერებული მოქალაქეების პროვოცირებას 1 ოქტომბრის მერმინდელი პოლიციელები?

2. თუ რატომ ყაჩაღობენ ისევ ყვითელ და ლურჯ ქურთუკებში გამოწყობილი ტიპები?

3. თუ რატომ არის ისევ თავიანთ ძველ ადგილებზე ის ხალხი, რომლებიც მენაგვე-ალპინისტ-მომღერლებს „აპრავებდა“ (არა მხოლოდ მერიაში, სამინისტროებში, დეპარტამენტებში, რაიონულ გამგეობებში დ.ა.შ)?

4. თუ რატომ დაავიწყდა ხელისუფლების ბევრ „წარმომადგენელს“ ის, რომ ახლო წარსულში მრავალჯერ გაფარჩაკებულნი, როგორ მოთავსდნენ თბილ და მსხვილხელფასპრემიიან ადგილებზე?

ბირაოებით რომ უშვებთ მკვლელებს და კრიმინალებს გარეთ ხალხის გულის გასახეთქად, ბანკებში ვისაც ბინები აქვთ ჩადებული და ქუჩაში დარჩნენ, იმათ მაინც დაეხმარეთ და გადაურიცხეთ ამ გზით შემოსული თანხები... ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება რომელიმე ხელისუფლებამ კარგად გაისიგრძეგანოს და შეიგრძნოს ვალდებულება, რომ ხალხი ქირაობს მათ, და გვერდით დაუდგნენ გაჭირვების დროს... მარტო წინასაარჩევნოდ რო იქაჩლებენ თავებს, ეგრე სად არი?!

სანდრა ექთანიაო, ედუჩიმ ნათხოვარ აიპოდზე დაამყარა რეკორდიო, დღეს ტყუილი ბორში ვჭამეო, ჟურნალისტებს გავაგებინე, პრესკონფერენციას რო ვატარებდიო, დედაჩემის მანქანა მიწოლით იქოქებაო, საარსებო მინიმუმს სვანეთში ტურისტების აყვანით გამოვიმუშავებო.

ვინმემ მიაწვდინეთ ხმა ივანიშვილს, დაიბაროს უმრავლესობა და კატეგორიულად მოსთხოვოს, უპასუხონ ხალხის ზარებს, ან დააფშვნას თავზე ის ტელეფონები, თორემ კიდე დაგჭირდებათ ხმები და მიიღებთ ხვიშტს.

ექსკლუზივი:

მოქალაქე სააკაშვილს აიპოდის გამოტანა ნდომებია განვადებით, მაგრამ TBC-ს უთქვამს, შენ 20 იანვრის მერე უმუშევარი ხარო. მერე პენსიაზე მისულა „ლიბერთიში“, იქ კიდე გურგენიძემ უთხრა, შენ ხომ მუშაობ, პენსია როგორ დაგინიშნოო.

დაიბნა ადამიანი.

უკვე ღიად შეეხო პატრიარქს... არ ასვენებს გამჩენი...

მართლა საწყალი ხარ, მიშა!

აი ასეთ სუბიექტს ჰქვია საქართველოს პრეზიდენტი?!.

მან აბსოლუტურად დაამახინჯა და მისთვის საჭირო კონტექსტში გადმოსცა პატრიარქისა და პუტინის საუბრის თემა, რასაც არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტებასთან. თან იქვე დააყოლა, რომ „...მის უწმინდესობას მისთვის ეს არ მოუყოლია, თუმცა, იქ სხვა ადამიანებიც იყვნენ, ვისგანც შეიტყო ამ საუბრის შესახებ“.

ამის მერე იწყებს ტყუილებს, რაშიც თავად დარწმუნდებით, თუ ამ ლინკს გახსნით და წაიკითხავთ... სიტყვებიც არ მყოფნის... ან რაღა უნდა ვთქვა...

**თიკო თვალაძე**

◎ პროტესტი

# ნიუ-იორკი: „არა — ოკუპაციას!“

ნიუ-იორკის ცენტრში უოლ სტრითზე ამერიკაში მცხოვრები ქართველების მიერ ორგანიზებული და მერიის მიერ სანქცირებული მიტინგი გაიმართა. შეკრებილებმა 1921 წლის 25 თებერვალი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი გმირები და შემდგომ წლებში დაღუპული ადამიანები გაიხსენეს. გაიხსენეს საქართველოს XX საუკუნის ისტორია, როცა ქვეყანამ, ფაქტობრივად, ორჯერ დაკარგა დამოუკიდებლობა. გაიხსენეს 2008 წლის აგვისტოც და ის ადამიანები, რომლებიც ამ ომს შეეწირნენ.

არა — ოკუპაციას!

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი, აშშ.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# სამართლის მოლოდინში

**პარლამენტის უმრავლესობა-უმცირესობის წარმომადგენელთა შეხვედრებმა დიდი ვერაფერი მოიტანა, ვინაიდან უმცირესობის აპეტიტური მოთხოვნები შორს გასცდა გონივრულ საზღვრებს, — ასე გვამცნო მთავარმა მომლაპარაკებელმა, პარლამენტის სპიკერმა დავით უსუფაშვილმა, თან ის საკითხებიც გააჟღერა, რაზეც ლაპარაკობდნენ დაპირისპირებული მხარეები.**

სპიკერის მიერ გაჟღერებული საკითხების ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ შეთანხმება არამც და არამც არ ნიშნავს დათმობას, მით უმეტეს იმასთან, ვისაც სულაც არ სურს შეთანხმება — პირიქით, „ნაციონალური მოძრაობა“, სწორედ, ის ძალაა, რომელიც დამარცხებულიც, თავლაფდასხმულიც, ნაცვლად მონანიებისა, თავს იმართლებს და შეტევაზეც გადავა. ამის დასტურია პრეზიდენტის პასუხი სპიკერის განცხადებაზე.

პრეზიდენტის იმპროვიზაციას საზღვარი არ აქვს, განსაკუთრებით იმ საკითხში, სადაც თავს აშკარა დამნაშავედ უნდა მიიჩნევდეს. თავის მართლებისათვის ის ახალ-ახალ ვერსიებსა და ზღაპრებს იგონებს. მისი გამოსვლიდან გახდა ცნობილი, რომ რუსეთის იმჟამინდელ პრემიერ-მინისტრს სააკაშვილისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანია და ეს იმიტომ, რომ სააკაშვილი და მისი მოხელეები კბილებით იცავდნენ სამშობლოს.

სააკაშვილმა ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე თქვა, რომ რუსეთმა დაიწყო ომი საქართველოს დასაპყრობად. ახია რუსეთზე — თბილისის ყურისძირში გაჩერებულზე. ისე, ბევრი ნატრობდა რუსის ჯარის თბილისში შემოსვლას. მათი აზრით, ეს იქნებოდა ერთადერთი შანსი მოძალადე ხელისუფლებისგან გასათავისუფლებლად. ისინი იმასაც ამბობდნენ, რომ რუსეთს თბილისში არავინ გააჩერებდა, ცხადია, მხედველობაში საერთაშორისო საზოგადოება ჰყავდათ — საქართველო კი გათავისუფლდებოდა იმ უბედურებისგან, რასაც ტერიტორიების დაკარგვა ჰქვია.

სააკაშვილის „პატრიოტიზმი“ ე.წ. ამნისტიის საკითხს მოჰყვა — **მე და ჩემს თანამებრძოლებს არ გვჭირდება ამნისტია, პუტინმა ვერ შემაშინა და ვიღაც პროკურორი რას გახდება ჩემთანო** — დაახლოებით ასეთი შინაარსისა იყო მისი ნათქვამი, ნათქვამი უმაღლესი მხედართმთავრისა, რომელმაც 2008 წლის ომის პერიოდში, შეშინებულმა ჰალსტუხიც დაღეჭა და ცხვირით გორის მიწაც დახნა.

სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას რატომღაც ნიშანში მარტო პუტინი ჰყავთ ამოღებული. ეს „სიყვარული“ დღესაც გრძელდება. მთელი ნაცობა მხოლოდ ერთ კაცს — პუტინს ადანაშაულებს. არადა, იმჟამად რუსეთის პრეზიდენტი მედვედევი იყო და მან, როგორც პრეზიდენტმა მიიღო ქართულ აგრესიაზე საპასუხო გადაწყვეტილება. პრემიერ-მინისტრი პუტინი, პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალს ესწრებოდა. ომის დაწყების შესახებ მან მოგვიანებით შეიტყო და უმალ შეეცადა, პეკინში მყოფ, აშშ-ს პრეზიდენტ ბუშთან დალაპარაკება. სამწუხაროდ, ბუშის გამოისობით, ეს შეხვედრა დაგვიანებით გაიმართა.

**სააკაშვილის ტყუილს დასავლური დიპკორპუსი აკადემიური სიმშვიდით ისმენს. ძნელია იმის გაგება, რას ეუბნებიან პრეზიდენტს მამალი ტყუილისთვის ამერიკის ან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ელჩები ან ეუბნებიან თუ არა. საჯაროდ არც ერთ მათგანს, თუნდაც გაკვრით სიტყვაც არ დასცდენია, რატომ აყენებს სააკაშვილი შეურაცხყოფას ევროკავშირის საგანგებო კომისიის დასკვნებს, რატომ ამტკიცებს დასკვნის საწინააღმდეგოდ, რომ ომი თბილისმა კი არა, მოსკოვმა დაიწყო.**



იმ დღეს, რა დღესაც სააკაშვილმა კვლავ სცადა საზოგადოების შეცდომაში შეყვანა, პარლამენტის უმრავლესობის წევრმა გოგი ქავთარაძემაც გააკეთა განცხადება, უფრო სწორად, პარლამენტს გააცნო საკუთარი ამომრჩევლის მოთხოვნა „ნაციონალური მოძრაობის“ კანონგარეშედ გამოცხადების თაობაზე. სხვათა შორის არა მარტო ბატონი გოგის ამომრჩევლები არიან ასეთ განწყობაზე, არამედ საქართველოს მოსახლეობის საგრძნობი ნაწილიც, მაგრამ ვინ მისცემს საქართველოს ხელისუფლებას ამ ოცნების ასრულების შესაძლებლობას?

**არც არავინ. უპირველესად — პარტნიორი! არადა, ობიექტური პარტნიორი, მხოლოდ და მხოლოდ ობიექტურობიდან გამომდინარე, ასეც მოიქცეოდა და ნაცვლად ნაცთა მხარდაჭერისა, აიძულებდა ხელისუფლებას, მთელი სიგრძე-სიგანით აემოქმედებინა სამართალი დამნაშავე ნაცთა წინააღმდეგ. მაგრამ ეს არ მოხდება, ყბადაღებული ამერიკული „დემოკრატიიდან“ გამომდინარე. და რახან ეს არ მოხდება, იძულებული ვართ, ავიტანოთ სააკაშვილისა და ნაცების თავხედური განცხადებები, ბაჩანა ახალაიას სასამართლო პროცესზე გამართული ოვაციები, ტელეეკრანებზე ნაცი „პოლიტიკოსებისა“ და მათი მხარდამჭერი ექსპერტების ყელყელაობა, სხვა მსგავსი არასასიამოვნო მომენტები. არადა, როგორი ასატანია?!**

პროკურატურა ჩვეულ აკადემიურ „ტემპში“ აგრძელებს დაბარება-დაკითხვას, სასამართლო - დამნაშავეთა გამოშვებას. ხალხი უკმაყოფილებას ვერ მალავს. მიმდინარეობს რიგი პერსონალური საკითხების ხელახალი გადახედვა-გამოძიება. დონაძე ისევ ტელეეკრანის „გმირია“, ისე, როგორც რობაქიძის მკვლელობაში გასული სხვა პოლიციელები.

**ყველას პატრონი გამოუჩნდა. სწორედ მათი მოთხოვნით ხდება თაროზე შემოდებული, დამტვერილი საქმეების მაგიდაზე დადება. უპატრონო მხოლოდ ერთია — საქართველო. ის არავის ახსოვს. არავის მიუმართავს სამართალდამცავი ორგანოებისათვის იმ პოლიტიკოსთა დასასჯელად, ვინც უგუნური პოლიტიკით ომი წამოიწყო.**

ომით დაზარალებული ითხოვს ამას. ომში დაღუპული ადამიანები ითხოვენ ამას. ტერიტორიადაკარგული ქვეყანა ითხოვს ამას. ითხოვს? რაღაც არ ისმის ასეთი მოთხოვნა არც პარლამენტისგან, არც არასამთავრობოებისგან, არც საზოგადოებისგან, არც არავისგან. პირად საუბრებში გამოთქმული გულისწყრომა და „მოთხოვნა“ სამზარეულოს არ სცდება. ნაცვლად ამისა, გვესმის სააკაშვილის განცხადება, რომ მან და მისმა ნაცებმა გადაარჩინეს საქართველო რუსეთის დაპყრობისგან.

ხელისუფლების მხრიდან გვესმის, რომ რუსეთმა ჩაგვითრია ომში, როგორც უსუსური, ჭკუანაკლული ბავშვი. არადა, არჩევნებამდე „ოცნების“ ლიდერი პირდაპირ ამბობდა, ვინ იყო აგრესორი. დასავლელთა ანგარიშგაწევით, ნათქვამი — სააკაშვილმა დაიწყო ომი, რუსეთმა ჩაგვითრია ომში-თ — შეიცვალა.

**ვიდრე 2008 წლის აგვისტოს სახელმწიფოებრივ ამბავს წერტილი არ დაესმება, დამნაშავე არ დაისჯება, ისე, როგორც ეს მოხდა სხვა ქვეყნებში — გავიხსენოთ არგენტინა, იუგოსლავია და ა.შ., მუდამ იბოგინებენ დამნაშავე პოლიტიკოსები ნაცთა სახით.**

საქართველოს სხვაც ბევრი აქვს გასაკეთებელი, მათ შორის გივი თარგამაძის მიმართ. დიახ! კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს მოქალაქის სხვა ქვეყნისთვის გადაცემა შეუძლებელია. მაგრამ ეს ქვეყანა, რუსეთის ნაცვლად, ამერიკა რომ ყოფილიყო, ისეთივე პრინციპულები ვიქნებოდით? თარგამაძემ თავისი მოქმედებით ჩირქი მოსცხო საქართველოს, თუმცა, მისი კოლეგა ნაცები, პირიქით მიიჩნევენ, ვინაიდან თარგამაძის მოქმედება პუტინის რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული.

და კიდევ ერთი რამ — დამნაშავემ დანაშაული საკუთარი სურვილით ჩაიდინა, თუ სხვათა დავალებით, სხვათა საამებლად, შესაბამისი ანაზღაურებით? თარგამაძის სხვისთვის გადაცემა არ შეიძლება, მაგრამ რა უშლის ხელს მისი საქმის საქართველოში გამოძიებას? „რევოლუციონერი“ პარლამენტარის საქმე ისეთივე, თუ მეტი არა, ჟღერადი უნდა გახდეს, როგორც რობაქიძის, გირგვლიანის, სხვების, ვინაიდან ის სახელმწიფოს ეხება. თარგამაძის საქმე სამაგალითო უნდა იყოს, რომ საქართველოს არც ერთმა პოლიტიკოსმა, საქართველოს არც ერთმა მთავრობამ ცხვირი არ ჩაყოს სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში.

საქართველო შავბნელი საქმეებით არ უნდა გამოირჩეოდეს, თუნდაც ისეთით, რაც მოხდა. ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა „ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლოს“ გადაწყვეტილება — პოლონეთის, ლატვიის, რუმინეთის, იტალიის წინააღმდეგ საქმის აღძვრის თაობაზე.

ჩამოთვლილი ქვეყნები და სხვები, მათ შორის საქართველოც, საიდუმლოდ იღებდნენ მონაწილეობას ოპერაციაში, რომელიც დაგეგმა აშშ-ს პრეზიდენტმა ბუშმა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის საპასუხოდ. მისი მიხედვით, აშშ-ს სპეცსამსახურები იტაცებდნენ, ციხეში ამწყვდევდნენ, აწამებდნენ პირებს, რომლებიც, მათი აზრით, ტერორიზმში იყვნენ ეჭვმიტანილნი.

ამერიკულმა არასამთავრობო ორგანიზაცია „ღია საზოგადოების იურიდიულმა ინიციატივამ“ გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ბუშის პროგრამის შესრულებისთვის პასუხისმგებლობა არა მარტო აშშ-ს ეკისრება, არამედ ყველა იმ ქვეყანას, ვინც მას უწევდა დახმარებას.

არავინ იცის, რამდენ ასეთ ან მსგავს ბინძურ საქმეშია გახვეული საქართველო წინა ხელისუფალთა წყალობით. ვინ იცის, საერთაშორისო დონის რა შავბნელი საქმეები აქვთ ნაკეთები ნაციონალებს. მათ შესახებ კანტიკუნტად გვესმის ხან ნარკოდერეფნის სახით, ხან სირიაში გასაგზავნი „ბოევიკების“ წვრთნის სახით და სხვა.

სააკაშვილის მიხედვით, თითქოს ნატოც და ევროკავშირიც მზად არიან საქართველოს ჩასახუტებლად, მაგრამ პროკურატურის დაკითხვები ხელს უშლის პროცესს. მან კვლავ გაიხსენა „საყვარელი“ მატარებლის თემა, რომელიც ევროპაში მიდის და ამ მატარებელზე ქვეყნის მიერ აღებული ბილეთი, თუ არ შეწყდება მასობრივი დაჭერები, გაუქმდებაო, — მოურიდებლად ბრძანა მან.

აქტიურობენ ნაციონალები და ამ პროცესში ხელისუფალთა ირიბი ხელიც ურევია, რამეთუ ყოფილი მოხელეების სუსტი მტკიცებულებით დაკითხვა-დაკავება მხოლოდ ნაცთა წისქვილზე ასხამს წყალს. დიდი ილია ამბობდა: „ჯერ ბრალმდებელს უნდა დაასაბუთებინო ბრალდება იმოდენად, რომ დასაჯერი მაინც იყოს და მას მერმეთ, დიაღ, მხოლოდ და მხოლოდ მას მერმეთ მოეკითხოს ბრალდებულს პასუხი. უამისოდ ბრალდებულთა სკამზე დასმა ადამიანისა პასუხსაგებლად წაწყმედაა...“

**ასეა, როცა სალაპარაკოს მისცემ, საქმეს გააჭიანურებ, სუსტი ბრალდებით დააკავებ. არადა, მოარული ხმების მიხედვით, ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა უხვადაა და თუ არც დანაშაულს, არც შეგნებულ შეცდომას, არც ქვეყნის ძარცვას, არც მიტაცებული ფულით ნაცთა დროსტარებას, არც საკუთარი პირადი ცხოვრების მოწყობას, არც ტერიტორიების დაკარგვას და არც ხალხის გალატაკებას ადგილი არ ჰქონია, შევეშვათ ტყუილ ვნებათაღელვას, სახის ხოკვას და ნაცებთან ერთად გადავეშვათ ამქვეყნიური „სიამოვნების“ მორევში.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

ალიან-ჩალიანი

## პრეზიდენტს დაცვაც ეყოლება და ისინი თავიანთ მოვალეობებსაც შეასრულებენ

**საქართველო** სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური პრეზიდენტის განცხადებას ეხმაურება, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ: „გვინდა, გამოვეხმაუროთ საქართველოს პრეზიდენტის განცხადებას, სახელმწიფო დაცვაზე უარის თქმის შესახებ და განვმარტოთ, რომ „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ კანონში შესული ცვლილებების შესაბამისად, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს უნდა გამოეყოს საქართველოს პრეზიდენტის დაცვის სპეციალური სამსახური და გადავიდეს პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში. მან უნდა უზრუნველყოს საქართველოს მოქმედი პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების (მეუღლის, ორი შვილისა და დედის), აგრეთვე, პრეზიდენტის სარგებლობაში არსებული რეზიდენციებისა და ობიექტების დაცვა, განახორციელოს ამ კანონით მინიჭებული უფლებები და შეასრულოს ამავე კანონით დაკისრებული მოვალეობები. პრეზიდენტის განკარგულებაში რჩება: ესკორტის ორი ეკიპაჟი სრული შემადგენლობით, მათ შორის დაჯავშნილი VIP მანქანები, ოთხი ექიმი რეანიმატოლოგი, კვების ოთხი ექიმი, ოპერატიული და ოპერატიულტექნიკური სამსახური, სვლა—გეზის სამსახური, ადმინისტრაცია და სხვა სამსახურები. პრეზიდენტის დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. პრეზიდენტის დაცვის სპეციალური სამსახური განისაზღვრა 350 კაცით და 7-მილიონიანი ბიუჯეტით. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური იტოვებს ვალდებულებას, საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს პრეზიდენტის დაცვის სამსახურს, მის დაქვემდებარებაში არსებული რეზერვებით.

ასევე, გვინდა გაცნობოთ, რომ არ შეესაბამება სინამდვილეს ის ფაქტი, თითქოს პრეზიდენტის დაცვას ჩამოერთვა იარაღი და იმყოფება შეიარაღების გარეშე. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური ამჟამად ჩვეულ რეჟიმში ახორციელებს პრეზიდენტის დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფას და სამსახური იღებს ვალდებულებას განახორციელოს პრეზიდენტის დაცვა, პრეზიდენტის დაცვის სპეციალური სამსახურის ჩამოყალიბებამდე. იმ შემთხვევაში თუ საქართველოს პრეზიდენტი უარს იტყვის სპეციალურ დაცვაზე, მისი დაცვის ვალდებულება ავტომატურად ეკისრება სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს.

საქართველოს პრეზიდენტი კანონით უზრუნველყოფილია სახელმწიფო დაცვით. ამჟამად, სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას მისი უსაფრთხოება ნებისმიერ შემთხვევაში. ასევე, საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია, ხელი შეუწყოს სახელმწიფო სტრუქტურებს კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელებაში.

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

განსჯა



**გასულ კვირაში ქვეყანაში განვითარებულ პროცესებსა და მოვლენათა განვითარების სავარაუდო სცენარებსა და მათ შედეგებზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის პოლიტიკური სკოლის დამფუძნებელსა და დირექტორს არმაზ ახვლედიანს ესაუბრა.**

# არმაზ ახვლედიანი: „ნაცმოძრაობა“ უკან არაფერზე დაიხევს, არც სისხლისღვრას მოერიდება და არც საკუთარი ხალხის მტკიცე ნების იგნორირებას

**— ბატონო არმაზ, უკანასკნელ დღეებში პროცესების განვითარება მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ არჩევნებიდან 4 თვეში ქვეყანა ახალ პოლიტიკურ რეალობაშია და სულაც არ არის გამორიცხული, საქართველო ღრმა პოლიტიკურ კრიზისში აღმოჩნდეს. „ნაცმოძრაობამ“ არჩევნებში დამარცხება აღიარა, კოჰაბიტაციაზე ხმამაღლა საუბარი კი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებაზე მხარეები ვერ შეთანხმდნენ, პრეზიდენტს ნებისმიერ დროს აქვს მთავრობის დათხოვნის, ხოლო სავარაუდოდ 21 აპრილამდე პარლამენტის დაშლის საშუალება, „ნაცმოძრაობა“ მოქმედების საგანგებო რეჟიმზე გადავიდა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა გადაცემა „აქცენტებში“ პრაქტიკულად პირველად, მისი და მისი ხელისუფლების მიერ დაშვებულ „სერიოზულ შეცდომებზე“ „აღიარებითი ჩვენება“ პირდაპირ ეთერში მისცა, მაგრამ ოპოზიციაში გადასული „ნაცმოძრაობის“ კონკრეტულ გეგმებზეც ისაუბრა. თქვენი აზრით, რას შეიძლება ნიშნავდეს პრეზიდენტის „აღიარებები“ შეცდომებზე, „ნაცმოძრაობის“ უკვე გაცხადებული გეგმები და, სავარაუდოდ, რისთვის ემზადებიან ოპოზიციაში გადასული პრეზიდენტი და მისი გუნდი?**

— 1 ოქტომბერს დამარცხებული ძალის ლიდერის, პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ მარცხის აღიარება იმთავითვე გათვლილი იყო მისი მზაკვრული გეგმის ეტაპობრივ განხორციელებაზე. ერთი მხრივ, მან მოახერხა, თავი მოეჩვენებინა დასავლეთისთვის თანამედროვე ტიპის ლიდერად, რომელიც ცნობს დემოკრატიული თამაშის წესებს. მეორე მხრივ, ამ ნაბიჯით, ფაქტობრივად, მოირგო და მიისაკუთრა ოპოზიციური მანტია, რაც შესანიშნავ სასტარტო მდგომარეობაში აყენებდა „ნაცმოძრაობას“ და აძლევდა მას შანსს, შანტაჟით, ნაცადი ავანტიურითა და ახალი ხელისუფლების გამოუცდელობით, თუ ხშირად ობიექტური მიზეზებით დაშვებული შეცდომების ტრაგიკულ, სახიფათო ტენდენციებად წარმოჩენით, მიეჩქმალა საკუთარი შავ-ბნელი წარსული და აპრობირებული პიარ-მეთოდებით, საკუთარ ნება-სურვილზე მორგებული კონსტიტუციით, ჯერ კიდევ არსებული ფინანსურ-ადმინისტრაციული რესურსით, გამოეწვია ფართომასშტაბიანი პოლიტიკური კრიზისი, რასაც უნდა მოყოლოდა მთავრობისა და პარლამენტის დათხოვნა და ჩამორთმეული ძალაუფლების ხელში ჩაგდება.

პრეზიდენტმა და მისმა გუნდმა ვერა და ვერ შეძლეს იმ დანაშაულების აღიარება, რომელთა გამოც ქართველმა ერმა ზურგი აქცია მის მოძალადე რეჟიმს. შეცდომები კი, რომელთა „აღიარებას“ ლამის გმირობად მიიჩნევს თავად პრეზიდენტი, ზღვაში წვეთია, თვალში ნაცრის შეყრაა, გაუთვითცნობიერებელი დამკვირვებლებისთვის გზა-კვალის აბნევის მცდელობაა.

ალბათ, დღეს უკვე ბევრი ხვდება, რომ ტურებთან მშვიდობიანი თანაცხოვრება თავის მოტყუებაა... ჩემთვის იმთავითვე ნათელი იყო, რომ ე.წ. კოჰაბიტაცია განწირული იყო და „ნაცმოძრაობა“ ამ ფანტომს ამოფარებული, დროის გაყვანით, გადაბრალების ტაქტიკით, ჯერ კიდევ არსებული ადმინისტრაციული ძალების მობილიზებით, დასავლეთში აქა-იქ შემორჩენილი დაჰიპნოზირებული მზრუნველების უსაფუძვლო განცხადებების ჩრდილს ამოფარებული, ყველაფერს იღონებდა, რათა რევანშზე ოცნება რეალობად ექცია.

**— „ნაცმოძრაობამ“ 19 აპრილისთვის რუსთაველის პროსპექტზე მრავალათასიანი აქცია დააანონსა. თავიდან უცნაურად გამოიყურებოდა აქციის 2 თვით ადრე დაანონსება, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ — პრეზიდენტმა პარლამენტს კონსტიტუციის შესრულება და პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლის თარიღის განსაზღვრისაკენ მოუწოდა; პრეზიდენტს 21 აპრილს ამოეწურება პარლამენტის დათხოვნის ვადა, ამას თუ ასევე პრეზიდენტის გამონათქვამს დავუმატებთ იმის შესახებ, რომ მერაბიშვილის ვიცე-მერად დანიშვნა „თბილისისთვის ბრძოლას“ ნიშნავს, ცხადი ხდება, რომ ქვეყანას მძიმე აპრილი ელის. თქვენი აზრით, რა ჩანაფიქრის რეალიზაციაზეა ორიენტირებული „ნაცმოძრაბა“? ანუ წავა თუ არა იგი განვითარების ისეთ ცუდ სცენარზე, რომელიც არც მისთვის და არც ქვეყნისთვის სასურველი აშკარად არაა?**

— პრეზიდენტს და მის გუნდს უკან დასახევი გზა აღარ რჩება. მათ ესმით, რომ მხოლოდ რევანში თუ გადაარჩენს სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. სამწუხაროდ, ამ მიზნის მისაღწევად „ნაცმოძრაობა“ უკან არაფერზე დაიხევს, არც სისხლისღვრას მოერიდება, არც კონსტიტუციის ფეხქვეშ გათელვას და არც საკუთარი ხალხის მტკიცე ნების სრულ იგნორირებას. მაგრამ, თუ ამ ბატონებს ოდნავ მაინც შემორჩათ საღი აზრი, უნდა ხვდებოდნენ, რომ ყველა ეს მცდელობა უშედეგო იქნება და ასეთი მზაკვრობით საბოლოოდ დაიმარხავენ საკუთარ პოლიტიკურ მომავალს.

**— ვთქვათ, პრეზიდენტმა სწორედ კონსტიტუციის შეუსრულებლობისთვის დაითხოვა პარლამენტი და მთავრობა, როგორი იქნება ამაზე ერთი მხრივ ქართული საზოგადოების რეაქცია და ოპოზიციაში გადასული პრეზიდენტის ქმედებებზე დასავლეთის რეაქცია?**

— 1 ოქტომბერს საქართველომ უარი უთხრა პოლიციურ მმართველობას და აირჩია განვითარების სამართლებრივი გზა. ამ ისტორიული არჩევანის ნებისმიერი ძალის, მით უფრო, დამნაშავე რეჟიმის მიერ ფეხქვეშ გათელვა, სახელმწიფო გადატრიალებისა და ქვეყნის იზოლაციის ტოლფასი იქნება.

**— ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 19 აპრილის აქცია გათვლილია ახალი და ძველი ხელისუფლების მომხრეებს შორის მასშტაბურ დაპირისპირებაზე, რომელსაც, „ნაცმოძრაობის“ ვარაუდით, ძალოვანი უწყებები ვერ გაუმკლავდებიან და სწორედ ეს იქნება პრეზიდენტის მიერ მთავრობის დათხოვნის მიზეზიცა და საბაბიც?**

— მასშტაბურ დაპირისპირებას კი ლამობს „ნაცმოძრაობა“, მაგრამ, საბედნიეროდ, ხალხის უდიდესი ნაწილი არ აყვება ამ ბინძურ პროვოკაციას. „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერ უბრალო ადამიანებს კი უკვე კარგად ესმით, რა სახიფათო თამაშში შეიძლება აღმოჩნდნენ ერთი-ორი პოლიტიკური ავანტურისტის გადამკიდე.

**— ვითარებაში, როცა პრეზიდენტ სააკაშვილის არაპროგნოზირებულობაზე საქართველოს დასავლელი პარტნიორები კულუარებში კარგა ხანია დაუფარავად საუბრობენ, მართლაც საკმაოდ ძნელია იმაზე საუბარი, რეალურად რა გეგმები აქვს პრეზიდენტს უახლოეს ორ თვეში, რათა ქვეყანა მართლაც არ აღმოჩნდეს პოლიტიკურ კრიზისში. რა პრევენციული ზომები უნდა მიიღოს ახალმა ხელისუფლებამ, რომ ქვეყანაში პროცესები არასასურველი სცენარით არ განვითარდეს?**

— ახალმა ხელისუფლებამ, „ოპონენტის“ წარმოუდგენელი თავხედობისა და მზაკვრობის მიუხედავად, უნდა შეძლოს ყველა ნაბიჯის კანონის შესაბამისობაში მოქცევა; მყისიერად აღნუსხოს და გამოასწოროს საკუთარი, თუნდაც ერთი შეხედვით უმნიშვნელო შეცდომები; არ დაუშვას ამა თუ იმ თავნება დიდმოხელის მხრიდან უსამართლობა სახელმწიფო მოხელეებზე; მკაცრად გააკონტროლოს სამართალდამცავი და სხვა სტრუქტურები ადგილებზე, რათა ვინმემ არ ჩათვალოს, რომ ხელისუფლებაში მოსულთ ეპატიებათ გადაცდომა ან თუნდაც მცირე დანაშაული. სირთულეების მიუხედავად, განაგრძოს ქვეყნის განვითარება და მისი სამართლებრივ სივრცეში დაბრუნება; მოახერხოს დასავლეთის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ინსტიტუტის დარწმუნება „ნაცმოძრაობის“ დანაშაულებრივ წარსულში და მის უკიდურესად დესტრუქციულ, სახიფათო ქმედებებში, რამაც გამოუსწორებელი ზიანი შეიძლება მიაყენოს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

**კობა ბენდელიანი**

პამფლეტი — „კანფეტი“

# როგორ შეუწყდა უფლებამოსილება ერთ ქართულ ანდაზას

**აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ქურდი რომაა, ბავშვობიდანვე ვიცოდი და ეს „დებულება“ ჩემს თვალში დიდხანს წყალგაუვალი იყო, მარჯვედ მუშაობდა და ამართლებდა. აი, სულ ბოლო პერიოდში კი, ისევ ჩემი თვალთახედვით, მას თითქოს წყალი შეუდგა, ქანცი გაუწყდა, უფლებამოსილება შეუწყდა.**

საქმე ისაა, რომ პოსტნაცურ, უკვე ხუთთვიან მონაკვეთში, აქლემის (გინდ დრომადერის, გინდ ორკუზიანის) ქურდებს საერთოდ ქურდებად აღარ მიიჩნევენ, არამცთუ ფეხებიც ვერ მოჭამეს (ბოდიშის თქმით), არამედ ყურებზე ხახვიც ვერ დააჭრეს (უბოდიშოდ); სხვათა შორის, იმ მოუჭმელი ფეხებით, სწორედ ეგ აქლემის ქურდები, სასამართლოს დარბაზიდან გამოდიან ამაყად თავაწეულ და მუშტშემართულ გმირებად და ისე მოაბიჯებენ მხურვალე ქომაგთა დერეფანში, შიგადაშიგ ეგზალტირებულ მანდილოსანთა გადაკოცნით (მხურვალე ქომაგები, ეგზალტირებულდედაკაცებიანი, როგორც ცნობილია, ქურდებს, ქურდბაცაცებსა და ბანდიტებსაც ჰყავთ).

**ნაცურ ხანაში, ნულოვანი ტოლერანტობის აყვავებისას, ნემსის, ჯართის, ნახევარი კილო ჯონჯოლის, 15 ლარის ღირებულების ნიგვზის მოპარვისათვის ადამიანებს, მათ შორის სამი შვილის დედას, 10 წლის ბავშვს, 15 წლის ყმაწვილს, 25 წლის ახალგაზრდას პროკურატურის მოთხოვნითა და სასამართლოს მორჩილებით ნაირ-ნაირი ვადით პატიმრობას უსჯიდნენ.** მაშინდელი პროკურატურის თვითნებობის, გაჯეჯილების, აბობოქრებისა და სასამართლოს ენაშეუბრუნებლობის სხვა, უფრო „სერიოზული“ მაგალითები აღარ მომყავს. ერთი სიტყვით, იყო დრო და მომენტი და ზემოთ იყო დომენტი (პროკურატურა!), ქვემოთ კიდევ პელო (სასამართლო!). ახლა „დრომ ახალი ძალით დაჰკრა“ და სხვაა პროკურატურაცა და სასამართლოც: ანუ სასამართლო პელოდან დომენტად აღზევდა-ამაღლდა, პროკურატურა კი დომენტიდან პელოდ ჩამოეშვა-დადაბლდა. ყოველ შემთხვევაში, ასე „ჩუმი“, ასე „ნაზი“, ასე უსუსური თუ უილაჯო ჯერ პროკურატურა მე არ მახსოვს... **სასამართლოს ვთხოვოთ, დასაჯოსო — სასაცილოა: ახლანდელი შენი პროკურატურა ახლანდელ სასამართლოს ფეხებზე კიდია...**

ჰოდა, დააბიჯებს აქლემის კი არა, მილიონების ქურდი მერი თბილისის ქუჩებში თავაწეული, მუშტშემართული, შიგადაშიგ აღტკინებული ქალების ჩახვევით; აკეთებს, რისი ხოშიც აქვს, მაგალითად, დაასაქმებს კი არა, დააუსაქმურებს ჯერ 2500-იანი, მერე 5000-იანი ხელფასებით ექსპარლამენტარებს, კერვალიშვილებია, ასანიძეები, ნასარიძეები, ოჩიაურები, როინიშვილები, ხაბაზები, ხერხეულიძეები თუ სხვანი და სხვანი ათნი და ოცნი. **საწყლები, ამ არამი ანაზღაურებების გარეშე ხომ შიმშილით მოკვდებოდნენ...**

ჰოდა, დაჰქრის აბრიფინგებული ვანო მერაბიშვილი, მართავს პრესკონფერენციებს, ორთვიანი წინსწრებით ნიშნავს მიტინგებს; **არადა, 7 ნოემბრისა და 26 მაისის „კონსტრუქტორი “ ბრიფინგებს კი არ უნდა აწყობდეს, ციხეში უნდა საწყლობდეს;** მაგრამ ვინაა დამჭერი, გამსამართლებელი და ჩამსმელი...

ჰოდა, ყეფენ და ყეფენ უპროკურატურო, უგამკითხავო, უმომკითხავო, უსამართლო ქვეყანაში ნაცები. ქალები და კაცები: თაქთაქიშვილები, ნადირაშვილები, გაბაშვილები, დარჩიაშვილები, წიკლაურები... ყეფენ და ყინჩობენ, რადგან გრძნობენ საპირისპირო მხარის სისუსტეს, გაუბედაობას, მოუნდომლობას; ამდენი ცოდვის ჩამდენნი, სწორედ ქაროცნელთა უმოქმედობის შემყურენი ვერ გრძნობენ იმ ცოდვათა სიმძიმეს, მსუბუქად მოათამაშებენ მხრებს, ყველგან და ყველაფერზე გაღმა ედავებიან იდეოლოგიურად რატომღაც წამხდარ ახალთ; და იზრდება ჩემი იმედგაცრუება და როგორც ვატყობ, არა მხოლოდ ჩემი... მით უფრო, რომ ყავლგასული და თავგასული, ეგრეთ და თვითწოდებული პრეზიდენტი ყოველდღიურად იჩითება თითქმის ყველა ტელეარხის ეკრანიდან, მიმართავს უცნაურ ვიზიტებს, მართავს უცნაურ შეხვედრებს და კოჰაბიტაციის გამასხარავებით, ლანძღავს და ესხმის მოსულ ხელისუფლებას, აფრქვევს და აკმევს დემაგოგიას, სიცრუესა თუ ბაქიობას... და ვერც ერთი ხელისუფალი, ვერც ერთი პარლამენტარი ვერ წამოსძახებს — წადი, შე ვადაგასულოო!..

**...ამასობაში დიდი ნიუტონი, ჩემი თხოვნის პასუხად, სულეთიდან მიგზავნის საგანგებოდ შეთხზულ მეოთხე კანონს: ყოველი ნაცი ცდილობს, შეინარჩუნოს თავისი ყინჩი და დიდგული მდგომარეობა, ვიდრე და რამდენადაც მოპირდაპირე ძალები ვერ აიძულებენ გამოვიდეს ამ მდგომარეობიდან....**

**ბერდია ბედოიძე**

ინფორმაცია



## მაიზერ ლიპარტელიანს პატიმრობა შეეფარდა

**ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე პოლიციის ყოფილ თანამშრომელს მაიზერ ლიპარტელიანს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა, ლევან ლობჟანიძეს კი — გირაო 5000 ლარის ოდენობით. ეს გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლომ გუშინ მიიღო.**

**პროკურატურამ ლიპარტელიანის თაობაზე სასამართლოს აღმკვეთის სახით პატიმრობის შუამდგომლობით მიმართა, ხოლო ლობჟანიძისთვის გირაო 15 000 ლარის ოდენობით მოითხოვა. ლიპარტელიანისა და ლობჟანიძის პროცესი სხვადასხვა დარბაზებში გაიმართა.**

**აღნიშნულ პირებს ბრალი ედებათ ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემაში.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**როქი „პიერ კარდენით“**

# ფასადური წინსვლა,

## ანუ ნაციონალური შოუ რაბათში



**„ყველა მაღაზია დაკეტილია?“... „ყველა მაღაზია დაცარიელებულია?“ — გაოცებას ვერ ფარავდა ახალციხის რაბათის კომპლექსის დათვალიერებისას ვანო მერაბიშვილი და ხან ერთი მაღაზიის დახურულ კარს მიღმა შესქცეროდა დაცარიელებულ ობიექტებს, ხან მეორე მაღაზიის ვიტრინიდან უმზერდა ოთახებში არსებულ სიცარიელეს. მას კი ახალი ხელისუფლების მოსვლით გულგატეხილი სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი ივანე წიკლაური მიუძღოდა.**

სინამდვილეში, ამ დადგმული შოუს მონაწილეებმა თავად ყველაზე კარგად უწყოდნენ, რომ ნაძალადევად და შიშით შექმნილი ბიზნესის ახალციხური ფინალი ასეთი იქნებოდა.

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის მიერ რაბათის კომპლექსის დათვალიერების შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ გაზრდილი გადასახადების გამო რაბათში ყველა ობიექტი დაიხურა. მათ შორის, „ზარაფხანა“, „სელიო“, „სვოჩი“, „პუმა“, „ღვინის სახლი“.**

**„საქართველოს ბანკისა და ბილაინის ფილიალებიც კი ყველა დახურულია“,** — შესჩივლა სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორმა ივანე წიკლაურმა ვანო მერაბიშვილს და მიზეზად ბოლო დროს გაზრდილი გადასახადები დაასახელა.

ახალციხის მაჟორიტარი დეპუტატი ნაციონალებიდან ვალერი ჩიტაშვილიც ამავე ტონალობას არ სცდება და აცხადებს, რომ ყველა ახალციხელი რაბათზე დიდ იმედებს ამყარებდა. დღესდღეობით კი, ყველა ობიექტი დაკეტილია. ერთადერთი, მხოლოდ რესტორანი მუშაობს. თუ ასე გაგრძელდა, ჩიტაშვილის პროგნოზით, ახალციხელებისთვის ძალიან ცუდი იქნება.

რეალურად აღმოჩნდა, რომ გაზრდილი გადასახადები კომუნალურ ხარჯებს უკავშირდებოდა და რაბათში არსებულ ყველა კომპანიას კომუნალურ გადასახადებს სახელწიფო უხდიდა. ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ ეს ყოვლად უაზრო გადაწყვეტილება გაუქმდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ყველა კერძო კომპანიამ საკუთარი კომუნალური ხარჯები თავად უნდა დაფაროს. ამიტომ ახალმა ხელისუფლებამ ახალციხის ციხის ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა ბრენდს და კომპანიას გადასახადების გადახდა შეუწყვიტა.

**„სახელმწიფო არ არის ვალდებული, აბსურდული ხელშეკრულებების თანახმად, რომელიც მაშინ კერძო კომპანიებს დაუდეს, მათ მიერ დახარჯული სინათლისა და გაზის გადასახადი გადაიხადოს“,** — ამბობს ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ბესიკ ხითარიშვილი.

კერძო კომპანიების კომუნალური ხარჯების დაფარვას ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკანონო ქმედებად მიიჩნევს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეც. ოლეგ სანდროშვილი იურიდიული პირების მიერ ახალციხის ციხის ტერიტორიის დატოვებას მომხმარებლის სიმცირეს უკავშირებს. ის, რომ რაბათს ბევრი ტურისტი სტუმრობდა, გარკვეულ ფაქტორებთან იყო დაკავშირებული.

**„ეს მხოლოდ წინა ხელისუფლების პიარკამპანია გახლდათ“,** — ირწმუნება ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ოლეგ სანდროშვილი.

ყოფილი პრემიერის და მისი „გიდების“ საპასუხოდ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი კახი კალაძე აცხადებს, რომ რაბათში ძალით მიყვანილი მოიჯარეების ხელშეკრულებები ეკონომიკური არამომგებიანობის გამო შეწყდა. მეტიც, კალაძის თქმით, საქართველოში ბიზნესი წნეხისა და ტერორისგან სამუდამოდ გათავისუფლდა და ამას იგრძნობენ ახალციხელებიც და ყველა სხვა კუთხის მაცხოვრებლებიც.

კახი კალაძე თავადაც ეწვია რაბათის ისტორიულ უბანს, რათა საკუთარი თვალით ენახა ის მდგომარეობა, რაც ცოტა ხნის წინათ სატელევიზიო სიუჟეტის სახით გავიდა, თურმე, როგორ დაცარიელებულა რაბათის „რეაბილიტირებული“ უბანი. თუმცა, საბოლოოდ, რაბათში სტუმრობისას კახი კალაძეც „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ აგებული „ფასადური აღმშენებლობისა“ და „ვითომ-ეკონომიკური აღმავლობის“ კიდევ ერთი კლასიკური სქემის მოწმე გახდა.

**გაირკვა, რომ საიჯარო ხელშეკრულებების სიის თანახმად (სადაც ჩამოთვლილია რაბათის უბანში კომერციული ობიექტების მოიჯარეების დასახელება), ყველა მათგანს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ზუსტად ერთ დღეს, ერთი და იგივე პერიოდით და წინასწარ გადახდილია ქირა 2013 წლის 15 მაისამდე.**

აქვე გამოჩნდა, თუ რამდენად „იაფი“ ღირდა იჯარა, რაც ადასტურებს, რომ მოცემული კომპანიების ერთსულოვანი გადაწყვეტილება ახალციხეში ბიზნესის გაფართოების შესახებ პოლიტიკური მითითებისა და ზეწოლის შედეგად იყო განპირობებული და არა — ეკონომიკური მოსაზრებებით.

ამდენად, კახი კალაძე ასკვნის, რომ **დღეისთვის, ძალით მიყვანილი მოიჯარეების ხელშეკრულებები შეწყვეტილია ეკონომიკური არამომგებიანობის გამო კომპანიებისვე სურვილით.**

ყველასთვის ცხადია, რაბათის ტერიტორიას ე.წ. შეწერილი ბიზნესის გარდა, საჯარო სამსახურებიდან ძალით მიყვანილი ხალხის სახელიც უკავშირდება.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ცალკეული დაწესებულებების ხელმძღვანელებს ურეკავდნენ და რაბათის კომპლექსის დათვალიერებას სთავაზობდნენ, არავინ ინტერესდებოდა, ობიექტების ძალით დათვალიერება იყო თუ არა ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა. სინამდვილეში, სამსახურის დაკარგვის შიშით რაბათში ძალით მიყვანილ ხალხს ხშირად პრეზიდენტს ახვედრებდნენ და მათაც იძულებით უწევდათ სააკაშვილის გაუთავებელი მონოლოგების მოსმენა. თუ საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელობა შედარებით ფხიანი აღმოჩნდებოდა, ასეთ შეხვედრას თავს აარიდებდა და ამბობდა, სამწუხაროდ, რაბათის დათვალიერების დიდი სურვილი მაქვს, მაგრამ ამ დღეებში სხვა რამ მაქვს დაგეგმილი და სხვა დროს იყოსო. ამის შემდეგ ნაციონალები უკვე სხვა დაწესებულებებს მიმართავდნენ რაბათში ძალით ჩაყვანის მიზნით.

For.ge დაინტერესდა, რა გახდა რაბათში შეწყვეტილი ბიზნესის რეალური მიზეზი. ამის შესახებ ექსპერტებს ვესაუბრეთ.

ექსპერტ გია ხუხაშვილისთვის **თავიდანვე ცხადი იყო, რომ რაბათში ბიზნესის შეწყვეტა გარდუვალი იქნებოდა და ეს იმ სამწუხარო ფაქტის მარტივი გამოვლინება გახლდათ, რაც ნაციონალების დროს ხორციელდებოდა. კერძოდ, იმ პერიოდში ყველაფერი ფასადურად კეთდებოდა და ჯოხით ერეკებოდნენ ხალხს საზარალო ბიზნესში. ეს ე.წ. საჩვენებელი ბიზნესიც, სინამდვილეში, დიდი ცინიზმი და ხალხის დაცინვა იყო.**

**რაბათში „პიერ კარდენის“ მაღაზიას რომ გახსნი, ეს სამარცხვინოა და იმ ხელისუფლების სახე სწორედ ამაში ჩანს. აქ ორი დანაშაული იკვეთება: პირველი, აიძულო მეწარმე და ჯოხით გაახსნევინო საზარალო ბიზნესი და აიძულო ის ადამიანები, რომლებსაც პურის ფული არ აქვთ, ყოველდღიურად ამ მაღაზიას უყურონ. ამის შემდეგ ეს სამარცხვინო ადამიანები კიდევ რაბათში დადიან და ჩივიან, საიჯარო გადასახადები გაზარდესო. თურმე რიგები მდგარა „პიერ კარდენის“ მაღაზიაში რაბათში. ისინი თეთრი ძაფით კერავენ საქმეებს და ჰგონიათ, ვიღაცას მათი გამოსვლების სჯერა. ყველაფერთან ერთად, ერთუჯრედიანებიც არიან“,** — აცხადებს გია ხუხაშვილი.

ამასთან, გვეთანხმება, რომ, **რა თქმა უნდა, „ზარაფხანის“, „პუმას“, „სელიოს“ და სხვა მაღაზიების წარმომადგენლებმა თავადვე უნდა გააკეთონ განცხადებები და აღნიშნონ, რეალურად რა მოხდა. თუმცა, ერთიცაა, ჩვენი ბიზნესი ჯერ კიდევ ვერ გამოსულა მონური კონფორმიზმისგან. გია ხუხაშვილის თქმით, ამ ადამიანებმა სწორედ ეს გარსი ვერ გაარღვიეს, არადა, ახალი ხელისუფლება მათ ეუბნება, აკეთეთ ჯანსაღი ბიზნესი, მიხედეთ საქმეს, იქონიეთ თავმოყვარეობა და ღირსება.**

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ვაჟა ბერიძე აცხადებს, რომ, **როდესაც მთლიანად ქვეყნის სამეწარმეო გარემო და ეკონომიკის განვითარების ტემპი არცთუ სასურველია, ძალიან ძნელია, მის ერთ რომელიმე რეგიონში საქმიანი აქტიობის პროვოცირება მოახდინო. „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების დროს ასე მოხდა ახალციხეში და მთლიანობაში, სამცხე- ჯავახეთში. ეს ის მხარეა, სადაც განსაკუთრებით დაბალია ხალხის ცხოვრების დონე და სტაგნაციის სერიოზულ პროცესს ექვემდებარება ეკონომიკა, რადგან იქ, ფაქტობრივად, უკვე კარტოფილიც კი აღარ მოჰყავთ იმ ოდენობით, რაც წინა წლებში იყო.**

აქედან გამომდინარე, **თურქეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების კონტექსტში გადაწყდა რაბათის რესტავრაცია. ეს იყო ძირითადად თურქეთის სახელმწიფოს მიერ პროვოცირებული ტერიტორიის მოწესრიგება და ამ იმპულსს დაერთო ყოფილ ხელისუფალთა მცდელობა, იქ საქმიანი აქტივობა წაეხალისებინათ. გაიხსნა მაღაზიები, დაწესებულებები, რესტორნები, მაგრამ, თუ ამას არ მოჰყვებოდა მაგისტრალების გახსნა, ტურიზმის მიმართულებით გარღვევა, აღებ-მიცემობა მოსაზღვრე თურქეთის რაიონებთან, სომხეთთან, რა თქმა უნდა, გახსნილი მაღაზიები მხოლოდ დეკორაციად დარჩებოდა“.**

ვაჟა ბერიძის თქმით, **მაღალი ფასების გამო „პიერ კარდენის“ მაღაზიაში თბილისშიც არ შედიან და მათი პროდუქციის ყიდვა დედაქალაქშიც კი ცოტას თუ შეუძლია. ის მდიდარი ადამიანებიც უცხოეთში ამჯობინებენ შოპინგებს. ვისაც არ შეუძლია უცხოეთში წასვლა, ბუნებრივია, საქართველოში მაღალ ფასს ვერ გადაიხდის ტანსაცმელში.**

**„ამდენად, ახალციხეში ამ ტიპის მაღაზიების საქმიანობის შეჩერების მიზეზები უნდა ვეძებოთ საერთოდ ქვეყნის ეკონომიკურ კრიზისში, სადამდეც ქვეყანა მიიყვანა ერთიანი „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის ცხრა წელიწადმა.**

**მიუხედავად ფასადური წინსვლისა, რეალურად, ეკონომიკა არ განვითარებულა და ხალხის ცხოვრების დონე არ ამაღლებულა. მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღატაკის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს საქართველოში, როცა რაიონის თვითმმართველი ორგანოები ხედავენ, რომ იმ მცირე გადასახადსაც ვერ იხდის მაღაზია ან საწარმო, ვინ გაზრდის გადასახადს?! რომელი ჭკუათმყოფელი გაზრდის გადასახადს იმის გამო, რომ მაღაზია დაიხუროს?! ეს უბრალოდ, ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია, რის გამოც ქართველმა ხალხმა უარი უთხრა წინა ხელისუფლებას“,** — აცხადებს ვაჟა ბერიძე.

მისივე თქმით, **ხელისუფლებაში მოსვლიდან სამი თვის თავზე ახალ მმართველ გუნდს პასუხს ვერ მოვთხოვთ, თუ რატომ არ მუშაობს „პიერ კარდენის“ მაღაზია ახალციხეში. თუმცა, ერთი წლის შემდეგ შეიძლება, ვივარაუდოთ, რა პოზიტიური ტენდენციები დაიწყო ეკონომიკაში.**

**მარიამ ლოლაშვილი**

**ალიან-ჩალიანი**

# ოდიშარიამ ოთხთვიანი მუშაობის ანგარიში წარადგინა




**კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ სამინისტროში საქმიანობის ოთხი თვის ანგარიში წარმოადგინა. პრეზენტაციას სამინისტროში კულტურის სფეროს მოღვაწეები, ასევე მინისტრის მოადგილეები ესწრებოდნენ.**

**მინისტრმა 2012 წლის ნოემბრიდან 2013 წლის თებერვლის ჩათვლით განხორციელებულ და 2013 წელს დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა. ოდიშარიამ ანგარიშის გაკეთებამდე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ კულტურის მოღვაწეებს, სხვადასხვა სფეროს ხელოვანებს შორის არსებობს კონფლიქტები, კლანური დაჯგუფებებიც, რის გამოც ვერ ხერხდება მათი კონცენტრაცია და მათთვის საერთო პრობლემებზე საუბარი.**

**მინისტრი ისურვებდა, რომ ეს სიტუაცია შეიცვალოს და ხელოვანებს შორის ურთიერთობა სანიმუშო იყოს. ამ მიზნით მათ სამინისტროში არაერთი მრგვალი მაგიდა გამართეს. კერძოდ, ძეგლთა დაცვის საკითხებზე, თეატრისა და კინოს წარმომადგენლებთან, მათ შორის თეატრისა და კინოს შესახებ კანონების დახვეწის მიზნითაც. მინისტრმა აღნიშნა, რომ ოთხი თვის განმავლობაში იგი 2000-მდე ადამიანს შეხვდა. მისი თქმით, კულტურის მოღვაწეთა შორის ტოტალური უმუშევრობაა. სამინისტროში 1500-მდე დასაქმების მთხოვნელთა განაცხადია შესული. იმის ფონზე, როდესაც თავად კულტურის სამინისტროს 129 თანამშრომელი ჰყავს და 30 ხელშეკრულებით არის აყვანილი.**

**ოდიშარიამ ვრცლად ისაუბრა საერთაშორისო პროექტებზე, ვიზიტებზე, შეხვედრებზე; ასევე, რეგიონებში განხორციელებულ პროექტებზე. 2013 წელს დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით კულტურის მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველო წარდგება ფრანკფურტისა და ლონდონის წიგნის ბაზრობებზე, ვენეციის ბიენალეზე, ასევე წელს იგეგმება თანამედროვე ქართველი მწერლების ნაწარმოებების გამოცემა.**

**ჟურნალისტებთან საუბრისას გურამ ოდიშარიამ აღნიშნა, რომ მათთვის მთავარი პრიორიტეტი იყო აღდგეს რეგიონებში კულტურული ცხოვრება. ამ მიზნით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგეს, შეისწავლეს ის ორგანიზაციები, რომლებიც მათ დაქვემდებარებაშია და ხელშეწყობას კვლავაც გააგრძელებენ.**

**მინისტრი მნიშვნელოვნად მიიჩნევს ქართული კულტურის გატანას საზღვარგარეთ. ამ მიზნით იგეგმება რამდენიმე პროექტის დაფინანსება, რომელთა შედეგები, ოდიშარიას განცხადებით, მოგვიანებით გახდება ცნობილი. კულტურის მინისტრი შემდგომი ანგარიშით საზოგადოების წინაშე ორი თვის შემდეგ წარდგება.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com




# დასაქმება – პიარი ბიუჯეტის ხარჯზე არჩევნების წინ

ნაცვირეშმაკობები

**ნებისმიერი არჩევნების წინ „ნაცები“ თავს უყრიდნენ როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო თანხებს (შეწერილს), რათა „დასაქმების პროგრამის“ საფარქვეშ დაეფინანსებინათ თავიანთი აქტივისტები, კოორდინატორები, აგრეთვე მოეზიდათ ახალი კადრები. გასული წლის 1 ოქტომბრის არჩევნების წინა პერიოდში ეს კამპანია ინიცირებული იყო მაშინდელი ახლადდანიშნული პრემიერის ვანო მერაბიშვილის მიერ. პროგრამაში სოციალური მომსახურების სააგენტოებიც იყვნენ ჩართულნი. მათთან გროვდებოდა დასაქმების მსურველთა მონაცემები.**

ქვემო ქართლში, კერძოდ, რუსთავში დასაქმების მსურველებს პარლამენტში ნაციონალების მხრიდან კანდიდატი მამუკა ჩიქოვანი ხვდებოდა. „საიდუმლო სერობები“ იმართებოდა გუბერნატორის ადმინისტრაციაში.

ჩვენი ინფორმაციით პარლამენტარი დასაქმების მსურველთ მათ მოვალეობებს უხსნიდა. ამბობდა რომ პროგრამა ორთვიანია (აგვისტო, სექტემბერი), ანაზღაურება იქნება 300 ლარი. ეს მთავრობის პროგრამაა — უხსნიდა სამუშაოს მაძიებლებს ჩიქოვანი. თქვენი მოვალეობაა, აღრიცხოთ უმუშევარი მოქალაქეები, რა პროფესიის არიან ისინი, როგორია მათი ასაკი, რათა ხელისუფლებამ იცოდეს, რა კატეგორიის მოქალაქეები ჰყავს დასასაქმებელი. ჩიქოვანი დაპირებასაც უხვად იძლეოდა — ამ ორთვიანი სამუშაოს დამთავრების შემდეგაც მთავრობა იზრუნებს თქვენზე. თქვენ შემდეგშიც შეგეძლებათ მსგავს პროგრამაში ჩართვა. მაჟორიტარობის კანდიდატი იმაზეც საუბრობდა, რომ მუშაობის დამწყებთათვის საჭირო არ არის „სივის“ წარმოდგენა, საკმარისია პირადობის მოწმობაც.

ყოველივე ამის შემდეგ პროკურატურა წინასაარჩევნოდ სახელმწიფო სახსრების ხარჯვით დაინტერესდა და დაკითხვაზე ქვემო ქართლის სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელი ნათია ნადირაშვილი დაიბარა. ამაზე „ნაცებმა“ ერთი ამბავი ატეხეს, რადგანაც დაბარებული უმცირესობიდან პარლამენტარის ირმა ნადირაშვილის დაა. — აქაოდა უმრავლესობა ზეწოლას ახდენსო.

მათ სწორი პასუხი გასცა ა/ო „საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველომ“, რომ არსებული საარჩევნო კანონმდებლობით, საბიუჯეტო რესურსების გამოყენება არჩევნებში მონაწილე რომელიმე პარტიის მიერ იწვევს სხვა საარჩევნო სუბიექტების არათანაბარ პირობებში ჩაყენებას, რაც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება და დასჯადი ქმედებაა.

დასაქმების პროგრამას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 2006 წლიდან ახორციელებს. 6 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით 102 მლნ. ლარი გამოიყო. თუ ამას დავამატებთ მუნიციპალიტეტებიდან გამოყოფილ თანხებსაც, მივიღებთ სერიოზულ ჯამს (ზუსტი რაოდენობა ვერ დავადგინეთ).

განვლილი 6 წლის განმავლობაში დასაქმების პროგრამებს ყველაზე მასობრივი ხასიათი ნებისმიერი დონის არჩევნების წინ ჰქონდათ. პირველი, 2006 წლის პროგრამის განხორციელება გადაწყდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ. მაშინდელი ჩანაფიქრით, 50 ათას ადამიანს კერძო კომპანიებში უნდა გაევლო სტაჟირება, ამისთვის ბიუჯეტიდან 24 მლნ ლარი გამოიყო.

შემდეგი, ნაკლებბიუჯეტიანი პროგრამა 2007 წელს იყო (5,6 მლნ. ლარი) — „დასაქმება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით“.

2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო და 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების წინ 2007 წელსვე, დეკემბერშივე, დაიწყო დასაქმების ახალი პროგრამის განხორციელება, რომელიც 2008 წელს საპარლამენტო არჩევნებისთანავე უნდა დამთავრებულიყო. მის ფარგლებში 25-დან 60 წლამდე ადამიანი პროფესიულად უნდა გადამზადებულიყო. პროგრამის ბიუჯეტი 60 მლნ. ლარით დამტკიცდა და ა. შ.

2012 წ. ისევ წინასაარჩევნოდ ივლის-აგვისტოში დასაქმების მორიგი პროგრამა დაიწყო, ამჯერად მხოლოდ სტუდენტებისთვის („სამერ-ჯობი“). პროგრამა მთლიანად განათლების სამინისტროს დააფინანსებინეს (12,5 მლნ ლარი). ზაფხულის პერიოდში 25 ათასი სტუდენტი დასაქმდა.

ქვეყნის ბიუჯეტის გარდა დასაქმების თავთავიანთი პროგრამები ჰქონდათ თბილისისა და ბათუმის მერიებს, რომლებიც საკუთარი თანხებით აფინანსებდნენ ამ პროგრამას.

უგულავამ 2007 წ. დაასაქმა 5 ათასი სტუდენტი, რომელთაც ხეების ჩასარგავად ნიადაგი უნდა მოემზადებინათ. ამისათვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან 2 მლ. ლარი გამოიყო.

2009 წ. მერიამ სტუდენტები თბილისის საზოგადოებრივ ტრანსპორტში დაასაქმა. ეს პროგრამა მუნიციპალურ ტრანსპორტში სტუდენტების მხრივ მგზავრებისთვის თანხის გადახდის ახალი წესის გადახდას ითვალისწინებდა. უგულავამ 15 დღეში 600 სტუდენტს თითოეულს 200-200 ლარი გადაუხადა.

ასევე არჩევნების (2012 წ. 1 ოქტომბრის) წინ მოხდა დედაქალაქის მერიაში დასუფთავების სამსახურში საზოგადოებასთან ურთიერთობის სკანდალური სამსახურის შექმნა 700-ზე მეტი თანამშრომლითა და მაღალანაზღაურებადი ხელფასებით. რომელთა 100 პროცენტი ნაციონალთა აქტივისტი და კოორდინატორი გახლდა.

2013 წლის არჩევნებისთვის (ადგილობრივის) მზადებად შეიძლება ჩაითვალოს უგულავას მიერ ზონდერ-ბრიგადებიდან შექმნილი მერიის სპეცსამსახურებიც, რომელსაც გარეშე პირთა თვალის ასახვევად ბაღების, სკვერებისა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წესრიგის დამყარება ევალებოდათ, სინამდვილეში კი შსს-თან პარალელურ რეჟიმში მუშაობა და მათთან ხელის შეშლა უნდა მოეხდინათ. იგივე მიზანს ემსახურება თბილისის სხვადასხვა რაიონების 400 მოედანზე ამდენივე მწვრთნელ-გამრთობის მაღალანაზღაურებად (600 ლარი) კონტინგენტით დაკომპლექტება. ალბათ უგულავამ — ესეც დასაქმების საკუთარი პროგრამით განახორციელა.

ბათუმის მერია 5 წელია ახორციელებს დასაქმების პროგრამებს მხოლოდ სტუდენტებისათვის. თანხები გამოიყოფა ბათუმის მერიისა და აჭარის ბიუჯეტიდან. დასაქმებულთა ანაზღაურება თვიურ 200 ლარს არ აღემატება, შარშან ამ პროგრამით ბათუმის უმაღლესი სასწავლებლის 608 სტუდენტი დასაქმდა.

გათავდა, მორჩა...

დროებით დასაქმების პროგრამებმა არ გაამართლეს, თუნდაც იმის გამო, რომ სტატისტიკური მონაცემებით ქვეყანაში უმუშევრობის დონე 15 პროცენტს არასოდეს ჩამოსცდენია — აცხადებენ ექსპერტი ეკონომისტები.

მიმდინარე წელს მთავრობა აღარ აპირებს დროებით სამუშაო ადგილებზე მოსახლეობის განაწილებას და ამისთვის ბიჯეტიდან მილიონობით ლარის გადაყრას. იგივეს აპირებს დედაქალაქის მერიაც, თუმცა უგულავამ მაინც მოასწრო ადგილობრივი არჩევნების წინ რაღაც რაოდენობის „ნაცების“ აქტივისტებისა და კოორდინატორების დასაქმება.

ახალი ხელისუფლების მიერ დასაქმების პროგრამაზე უარის თქმას მიესალმება ექსპერტი სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებში ნოდარ კაპანაძე. მისი თქმით, მილიონობით ლარი, რომლებიც ასეთი პროგრამებისთვის იხარჯებოდა, წყალში იყრებოდა, უშედეგო იყო. იმას, რასაც დასაქმების პროგრამა ერქვა, დასაქმებასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ეს იყო ამომრჩევლის მოსყიდვის ერთგვარი მცდელობა. და ძალიან კარგია ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი, ასკვნის სოციალური და ეკონომიკური საკითხების ექსპერტი.

**ზაზა ბილიხოძე**

ალიან-ჩალიანი

## არუთინიანს სამუდამო პატიმრობას არ შეუცვლიან

**ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის წინააღმდეგ ტერაქტში ბრალდებული ვოვა არუთინიანის საქმე არ გადაიხედება, — ამის შესახებ ინფორმაციას ბრალდებულ ვოვა არუთინიანის დედა, ანჟელა არუთინიანი ავრცელებს.**




**მან გუშინ პრესკონფერენცია „პირველი რადიოს“ ოფისში გამართა და განაცხადა, იუსტიციის სამინისტროსგან მიიღო პასუხი მის წერილზე, რომლის მიხედვითაც, ირკვევა, რომ მისი შვილის საქმე არ გადაიხედება.**

**ანჟელა არუთინიანი მიიჩნევს, რომ მისი შვილი უდანაშაულოა და მას პოლიტპატიმრის სტატუსი უნდა მიენიჭოს და მოითხოვს მის გათავისუფლებას. არუთინიანი ისევ გეგმავს შესაბამისი უწყებებისთვის ოფიციალური წერილის მიწერას და ახალი გარემოებების სახით, როგორც ის აცხადებს, თან დაურთავს გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებს, სადაც პრეზიდენტის დაცვის სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე წერს, რომ ე.წ. ლიმონკის სროლის ფაქტი არ არის დაფიქსირებული.**

## ყოფილმა პოლიტპატიმრებმა მთავარ პროკურატურაში სარჩელი შეიტანეს

**„დემოკრატიული მოძრაობის“ ყოფილმა პოლიტპატიმრებმა მთავარ პროკურატურაში სარჩელი შეიტანეს.**

**მოძრაობის პრესსამსახურის ინფორმაციით, ამნისტიის შედეგად გათავისუფლებულმა „სახალხო კრებისა“ და „დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტპატიმრებმა — შაქრია ზურაშვილმა, ამირან მერაბაშვილმა, კობა კობაურმა, ბექა პეტრიაშვილმა, ზაზა ჩიკვილაძემ, ედუარდ ამბარცუმიანმა და დავით კიკვიძემ შეიტანეს.**

**ისინი ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან მათ წინააღმდეგ განხორციელებული უკანონო მოქმედებების ობიექტური გამოძიებას მოითხოვენ.**

**როგორც ყოფილი პოლიტპატიმრები აცხადებენ, ისინი არ არიან რევანშის მომხრე, თუმცა ყველა იმ პირმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მათ წინააღმდეგ ცრუ ბრალდებების შექმნაში, მისცეს ცრუ ჩვენებები და უკანონოდ, უდანაშაულო ადამიანები გამოამწყვდიეს რეჟიმის ციხეში, სადაც მათ მიმართ ადგილი ჰქონდა არაადამიანურ მოპყრობას, წამებასა და ფსიქოლოგიურ ტერორს, პასუხი უნდა აგონ კანონის სრული სიმკაცრით.**

## ირემო, მთასა მყვირალო, რამ ჩამოგაგდო ბარადა

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიქუნეთის მცხოვრებმა მალხაზ ქოქოლაძემ მდინარეში იპოვა ძაღლებისგან დაკბენილი ირემი და გარემოს დაცვის სამსახურს დაუკავშირდა. ირემს დაზიანებული აქვს მარცხენა ფეხი, აგრეთვე ზურგი და კისრის არე. მკურნალობის შემდეგ ირემს სავარაუდოდ, კვლავ ველურ ბუნებაში გაუშვებენ. ირემი გარემოს დაცვის სამსახურმა სოფელ ჩიქუნეთიდან ბათუმში გადაიყვანა, რის შემდეგაც ზოოპარკთან არსებულ ვეტერინარულ კლინიკაში მოათავსებენ.**




## ბურებრივ აირს სამი ადამიანი ემსხვერპლა

**თემქაზე, ერთ-ერთ ბინაში სამი მამაკაცის გვამი იპოვეს; გარდაცვალება, სავარაუდოდ, გაზის ნამწვის ინტოქსიკაციის შედეგად მოხდა. როგორც საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოდან იტყობინებიან, შემთხვევა თემქის მე-3 მკ/რ-ში, მესამე კვარტლის 55-ე კორპუსში მოხდა. მათთან ერთ-ერთი გარდაცვლილის ახლობელმა დარეკა და მაშველების დახმარებით ბინაში შესვლას ითხოვდა. ადგილზე მისულ მაშველებს ბინაში სამი მამაკაცის გვამი დახვდათ. შემთხვევის მიზეზები დგინდება.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კვალი დროში

# სტრატეგიული მნიშვნელობის ინსტიტუტი საიმედო ხელშია

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს დღიდან დაარსებისა (1929 წ.), ყოველთვის ჰყავდა ღირსეული დირექტორი. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან პროფესორი მიხეილ გაგოშიძე, რომელიც 21 წლის განმავლობაში (1947-1968) ედგა სათავეში ჩვენს მრავალწლიან დაწესებულებას და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ცოტნე მირცხულავა. ბატონი ცოტნე 37 წელი (1968-2005) ხელმძღვანელობდა ინსტიტუტს. დირექტორად 2005 წელს არჩეული პროფესორი **გივი გავარდაშვილი** წინამორბედ ხელმძღვანელთაგან დანერგილ კარგ ტრადიციებს სასახელოდ აგრძელებს.

საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს გივი გავარდაშვილს დაბადებიდან 55 შეუსრულდა და ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლებიც ამ თარიღს უძღვნიან წინამდებარე წერილს.

გივი გავარდაშვილი 1958 წლის 15 იანვარს დაიბადა ახმეტის რაიონის სოფელ ოჟიოში, მოსამსახურის ოჯახში. დედა — ნათელა გიგაური დამსახურებული პედაგოგი გახლდათ, შარშან გარდაიცვალა. მამა — ვალიკო გავარდაშვილი, დამსახურებული აგრონომი და ხალხთა მეგობრობის ორდენის კავალერი, ამჟამად პენსიონერია.

გივი, თანატოლებისაგან გამორჩეული ბავშვი, ყოველთვის შრომითი საქმიანობით, სწავლით, სპორტით (ძიუდოში ვარჯიში) იყო დაკავებული. იმითაც გამოირჩა, რომ მას 9 წლისას, ხელი ჩამოართვა, მოეფერა და დიდი წარმატებები უსურვა მსოფლიოში სახელგანთქმულმა დანიელმა ფიზიკოსმა ნილს ბორმა. ეს 1967 წელს მოხდა, როცა აკადემიკოს ელეფთერ ანდრონიკაშვილის მიერ საქართველოში მოწვეული გენიალური სწავლული სოფელ ოჟიოში გავარდაშვილების ოჯახს სტუმრობდა. ახდა მისი კეთილი სურვილები...

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გივი წარჩინებითა და ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის კვალიფიკაციით ამთავრებს (1981 წ.) საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს. ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტზე სწავლისას იგი გახლდათ ლენინური სტიპენდიატი და ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე. ჯერ კიდევ 19 წლის სტუდენტმა აკადემიკოს ემილ სეხნიაშვილის ხელმძღვანეობით მოამზადა პირველი მეცნიერული ნაშრომი, რომელიც სტუდენტთა საკავშირო კონფერენციაზე დიპლომითა და ფულადი პრემიით დაჯილდოვდა და მეცნიერული ნათლობის დასაწყისად ექცა.

იმავე 1981 წელს გივი გავარდაშვილი აკადემიკოს ოთარ ნათიშვილის რეკომენდაციით აბარებს მისაღებ გამოცდებს საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში ჰიდრავლიკისა და საინჟინრო ჰიდროლოგიის სპეციალობით, რომელსაც 1984 წელს ამთავრებს და 3 წლის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საკანდიდატო დისერტაციის დაცვით ხდება ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი. 1991 წელს უმაღლესი საატესტაციო კომისიის (მოსკოვი) გადაწყვეტილებით მას უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო წოდება ენიჭება.

ასევე წარმატებით დაძლია ბატონმა გივიმ სამეცნიერო კარიერის შემდგომი საფეხური: 1996 წელს კვლავ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (თავმჯდომარე აკადემიკოსი გივი სვანიძე) ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო ნაშრომი და მოიპოვა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი ხმელეთის ჰიდროლოგიის, წყლის რესურსებისა და ჰიდროქიმიის სპეციალობით. 1998 წლიდან კი ის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტის პროფესორია.



მერილენდის უნივერსიტეტში I მსოფლიო კონფერენციაზე მოხსენებისას. აშშ, 2011 წლის 11 აპრილი

წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტის იმჟამინდელ დირექტორს, აკადემიკოს ცოტნე მირცხულავას შეუმჩნეველი არ დარჩენია დიდი შემოქმედებითი პოტენციალისა და გაქანების მქონე ახალგაზრდის შრომისმოყვარეობა, კოლეგებთან, თანამშრომლებთან ჯანსაღი ურთიერთობების დამყარების უნარი. 1992 წელს გივი გავარდაშვილი დაინიშნა ეროზიულ-ღვარცოფული პრობლემების ლაბორატორიის გამგედ. მომდევნო ცამეტწლიან დროის მონაკვეთში (1992-2005) თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა მკვლევარმა, თეორიულ, ლაბორატორიულ თუ საველე სამუშაოთა მარჯვე ორგანიზატორმა. ეს გახდა იმის საფუძველი, რომ 2005 წელს ბატონი ცოტნეს რეკომენდაციითა და მთელი კოლექტივის ერთსულოვანი მხარდაჭერით იგი აირჩიეს ქვეყნის ერთ-ერთი სტრატეგიული მნიშვნელობის ინსტიტუტის დირექტორად.

პროფესორ გივი გავარდაშვილს საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების (რუსეთი, სომხეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ავსტრია, აშშ, გერმანია, იტალია და სხვ.) ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს 145 მეცნიერული ნაშრომი, 4 მეთოდური მითითება, 35 სამეცნიერო-პოპულარული სტატია. ის ავტორია 4 მონოგრაფიისა (ქართულ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზე), 2 დამხმარე სახელმძღვანელოსი, 26 დაპატენტებული გამოგონებისა (10 — უცხოეთში).

1985 წელს ბულგარეთში მოწყობილ ახალგაზრდა გამომგონებელთა საერთაშორისო გამოფენაზე გივი გავარდაშვილმა დაიმსახურა დიპლომი, 2 წლის შემდეგ მოსკოვში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე კი — ბრინჯაოს მედალი და ფულადი პრემია.

ცალკე შევჩერდეთ მეცნიერის მონოგრაფიებზე. პირველი, ინგლისურ ენაზე 1995 წელს გამოქვეყნებული, ეხებოდა ღვარცოფების რეგულირების საკითხებს. წიგნს გაეცნენ და მაღალი შეფასება მისცეს მსოფლიოს ათეულობით ქვეყნის უნივერსიტეტებსა და მეცნიერებათა აკადემიებში მომუშავე სპეციალისტებმა. ვაშინგტონში შემდგარ ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე (1999 წ.) გივი გავარდაშვილის ყოფნისას გაიმართა მისი ფრანგულ ენაზე გამოცემული მეორე მონოგრაფიის „გარემოსდამცავი ახალი კონსტრუქციები და მათი გაანგარიშების მეთოდები“ განხილვა, რომელშიც მონაწილეობდნენ ასევე მრავალი ქვეყნისა და „იუნესკოს“ სპეციალისტები (აქვე სათქმელად, წიგნი მიეძღვნა ამ ორგანიზაციისაგან ბუნების სტიქიურ მოვლენებთან ბრძოლის საერთაშორისო ათწლეულის გამოცხადებას — 1991-2000). მესამე მონოგრაფიაში „მდინარე დურუჯის ეროზიულ-ღვარცოფული პროცესების პროგნოზირება და მათი საწინააღმდეგო ახალი საინჟინრო ეკოლოგიური ღონისძიებები“ (2003 წ.) ავტორმა კომპლექსურად და სრულყოფილად პირველმა გააშუქა მდინარე დურუჯის კალაპოტში მიმდინარე დესტრუქციული პროცესები. ეს მან გააკეთა აკადემიკოსების ც. მირცხულავას, ო. ნათიშვილის, პროფესორების მ. გაგოშიძის, ი. ვინოგრადოვის, ვ. თევზაძის, გ. ხერხეულიძის და სხვა მკვლევართა შრომებზე დაყრდნობით. გივი გავარდაშვილმა მდინარე დურუჯის შესწავლის ისტორიაში პირველად განახორციელა ბუნებაში მთლიანი წყალშემკრები აუზის ვიდეო-ვიზუალური აგეგმვა, რაც იძლევა სათანადო ეკოლოგიური სურათის პროგნოზირების საშუალებას თანამედროვე მეთოდებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2011 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია „ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფებისას მთის ლანდშაფტების უსაფრთხოების ღონისძიებები“, სადაც განხილულია საქართველოში, 2008 წლის აგვისტოში, საომარი მოქმედებების შედეგად გადამწვარი ტყის მასივების ეკოლოგიურ-ეკონომიკური ზარალის შეფასებისა და მთის ფერდობებზე ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის საშუალებები; შემუშავებულია მაღლივი კაშხლების შესაძლო ავარიისას წარმოშობილი წყალდიდობების მათემატიკური იმიტაცია ჟინვალის, სიონის, ლაჯანურის, ენგურის და შაორის მაგალითებზე. შემოთავაზებულია ლენტეხის, ცაგერის, ახმეტის რაიონებში, თუშეთის სოფელ ჯვარბოსელში ეროზიულ-ღვარცოფული პროცესებისა და წყალდიდობების საწინააღმდეგო საინჟინრო და ფიტომელიორაციული მოდელები. კატასტროფათა თეორიის გამოყენებით მოცემულია მცირე სიმძლავრის მეწყრისა და თოვლის ზვავის მოძრაობის დაწყების ხარისხობრივი ანალიზი, რაც აღნიშნული პროცესების პროგნოზირების შესაძლებლობას იძლევა.

იხ. 9 გვ.

გადაზრალების დიდოსტატი გნაცელები

# ჩაგდებული სარეაბილიტაციო პროექტები ორ რეგიონში დასრულდება

## ერთი წლის წინათ შეჩერებული სამუშაოების ჩაგდებაში ახალ ხელისუფლებას რად ადანაშაულებენ?

**ძველმა ხელისუფლებამ რეგიონებში დაწყებული სარებილიტაციო სამუშაოები შუა გზაზე მიატოვა და ახლა ახალ ხელისუფლებას სთხოვს მათს დასრულებას. ასეთი არაერთი დასახლებული პუნქტი თუ ქალაქია. თანხები კი ყველა მიმართულებით საკმარისი არ არის. ამიტომ, რეგიონალური ინფრასტრუქტურის სამინისტრო პირველ ეტაპზე კახეთისა და იმერეთის რეაბილიტაციის პროექტების დასრულებას გეგმავს.**

როგორც მინისტრის მოადგილე შოთა მურღულია აცხადებს, **გამოდარებისთანავე სამუშაოები ამ ორ რეგიონში გაგრძელდება. დარჩენილი რეგიონების რეაბილიტაციისთვის სამინისტრო 2014 წლის სამოქმედო პროექტს ამზადებს. პროექტში ჩადებული თანხის მოცულობა თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის გარდა, 1 მილიარდ 400 მილიონ ლარს ითვალისწინებს. მურღულიას ინფორმაციით, თანხა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდება.**

**რეგიონებში დაწყებული რეაბილიტაციის პროგრამებთან დაკავშირებით მართლაც რთული ვითარებაა. შეწყვეტილია თითქმის ყველა პროექტი, რომელიც ძველმა ხელისუფლებამ წამოიწყო. მაგალითად, მცხეთის რეაბილიტაცია უკვე ერთი წელია, შეჩერებულია. მიზეზი კი არასაკმარისი დაფინანსებაა.**

მცხეთის მთავარი არქიტექტორის თამაზ მაჩხანიას ინფორმაციით, **დღემდე მცხეთის რეაბილიტაციის სამი ეტაპი განხორციელდა და მხოლოდ გარკვეული სახლების ფასადები და ქუჩები კეთილმოეწყო.**



**„ჯვრიდან რომ გადმოხედოთ მცხეთას, შეამჩნევთ, რომ სამუშაოები ბოლომდე დასრულებული არ არის და მხოლოდ გარკვეული ქუჩებია კეთილმოწყობილი“,** — აცხადებს მაჩხანია.

იგი ადასტურებს, რომ **სარეაბილიტაციო სამუშაოების შეჩერების მიზეზი ფინანსებია, პროექტის განხორციელება ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ შეწყდა და მის განახლებაზე საუბარი არ მიმდინარეობს.**

**არადა, 2012 წლის ზაფხულში, „კომერსანტთან“ საუბრისას მცხეთის გამგებელი თემურ აბაშიძე სარეაბილიტაციო სამუშაოების კიდევ რამდენიმე წლით გაგრძელებაზე საუბრობდა.**

**მცხეთის მთავარი არქიტექტორი კი დღეს აცხადებს, რომ ამ დროისთვის მხოლოდ კულტურის სახლის სამშენებლო სამუშაოებზეა საუბარი, რომელიც ხანძრის შედეგად დაიწვა, სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვა კი ჯერ არ მიმდინარეობს.**

**უძველეს სატახტო ქალაქში სამუშაოების შეჩერებას ადასტურებს მცხეთა-მთიანეთში პრეზიდენტის რწმუნებული ხათუნა ოჩიაურიც. მისი ინფორმაციით, მცხეთაში რეაბილიტაციის გარკვეული ეტაპი დასრულდა და წინა ხელისუფლება მის გაგრძელებას გეგმავდა, თუმცა, დღეს მცხეთაში სამუშაოები აღარ მიმდინარეობს.**

**თელავში კი სარეაბილიტაციო სამუშაოები 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შეწყდა. ქალაქის ცენტრალურ გამზირზე მობინადრე ოჯახებს რეაბილიტირებული სახლები 2012 წლის სექტემბერში უნდა ჩაბარებოდათ, თუმცა, კომპანიამ პირობა არ შეასრულა.**

**ამჟამად თელავში, ბატონის ციხის (მუზეუმის) რეაბილიტაციაც შეჩერებულია. დაწყებული სამშენებლო სამუშაოების შეჩერების გადაწყვეტილება კულტურის სამინისტრომ მიიღო. უწყება პროექტის ხელახალი გეგმის მომზადებას გეგმავს. პროექტზე 13,7 მლნ ლარი იყო გათვალისწინებული. სამუშაოებს შპს „ფერი“ და შპს „არტესი“ ახორციელებდნენ.**

მუნიციპალური განვითარების ფონდის ცნობით, ამ ეტაპზე სამინისტრომ უნდა წარადგინოს პროექტის განხორციელების გეგმა, რის შემდეგადაც სამშენებლო სამუშაოები განახლდება.

**გიორგი ბექაური**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილმა გოგოლი გაიხსენა

**საქართველოში მუშაობას აგრძელებს რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის სპეციალისტების ჯგუფი ექვსი კაცის შემადგენლობით, რომლებიც ჩამოვიდნენ ქვეყანაში ღვინის ქარხნებისა და მინერალური წყლების ჩამომსხმელი საწარმოების შემოწმებისთვის, რათა შეისწავლონ საკითხი მათი რუსეთის ბაზარზე დაშვების შესახებ. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გაოცება გამოთქვა საინსპექციო ჯგუფის ჩამოსვლის გამო, რაც, სხვათა შორის, ჯერჯერობით ხელს არ უშლის რუსებს, გააგრძელონ ინსპექცია. ამასთან ერთად ზოგიერთმა ქართველმა ექსპერტმა უკვე გამოთქვა ეჭვი რუსეთის ბაზრის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ქვეყნის ეკონომიკისთვის.**

სამშაბათს, გვიან ღამით, პრესკონფერენციაზე, რომლის ტრანსლირებასაც პირდაპირ ეთერში აწარმოებდა ყველა ტელეკომპანია, საქართველოს პრეზიდენტმა გააკრიტიკა ადგილობრივი ჩინოვნიკები, რომლებიც რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის სპეციალისტებს ლებულობენ. „თავად ონიშჩენკომ არ დაგვდო პატივი და არ ჩამოვიდა, ვინაიდან, მისი სიტყვებით, ჩვენ, ქართველები, მივაჩნივართ უსაქმურებად და მუქთამჭამელებად, მაგრამ ჩამოვიდა მათი დელეგაცია და ჩვენი ჩინოვნიკები მათ წინაშე უმალვე დადგნენ უკანა თათებზე“, – გაოცებას ვერ მალავდა მიხეილ სააკაშვილი.

ამასთან ერთად მან შენიშნა, რომ ჩინოვნიკები „არა მხოლოდ დგანან უკანა თათებზე“, არამედ ყოველმხრივ ცდილობენ, პატივი მიაგონ სტუმრებს. „ისინი ჩვენი ღვინის ქარხნის წარმომადგენლებთან ერთად მოკანკალე ხელებით უსხამენ მათ ბოკლებში ღვინოს და შიშით შესცქერიან თვალებში, მოეწონებათ თუ არა ის რუს ჩინოვნიკებს“, – განმარტა მან.

მიხეილ სააკაშვილს მის მიერ აღწერილმა სცენამ გოგოლის „რევიზორი“ მოაგონა. „ჩვენთან მოდის რევიზორი“, – წარმოთქვა მან რუსულად, შემდეგ კი გახსნა რუსი ჩინოვნიკის სულის საიდუმლო. „ჩვენ ხომ ვიცით, თუ რა უნდა მას სინამდვილეში: ჩაუდეთ მას ჯიბეში ორი კაპიკი და ის ბედნიერი წავა აქედან“, – თქვა პრეზიდენტმა და მაგალითად გერმანია მოიყვანა. „ბავარიულ ლორსა და ძეხვს აწვდიან რუსეთს. არ გამიგია, რომ რუსებს უშვებდნენ ბავარიის ქარხნებში და იქ მუხლებზე ყოფილიყვნენ დაცემულები მათ წინაშე, თან ამბობდნენ: „ბიტე, ბიტე, რუსიშენ რევიზორე“, – დაიტრაბახა მან გერმანულის ცოდნითაც. პრეზიდენტმა ურჩია სამთავრობო ჩინოვნიკებს „მოეშვან სტუმრების მუცლის ფხანას, გათავისუფლდნენ მონური კომპლექსისგან და მისწრაფებისგან – გაუკეთონ მათ რაიმე სასიამოვნო“.

მიუხედავად სახელმწიფოს მეთაურის მკვეთრი თავდასხმისა, რუსი სპეციალისტები აგრძელებენ საქართველოს საწარმოების ინსპექტირებას. „იმედი მაქვს, ეს განცხადება გავლენას არ მოახდენს რუსეთელი კოლეგების მუშაობაზე“, – განაცხადა ჩვენთან საუბარში საქართველოს ეროვნული ღვინის სააგენტოს ხელმძღვანელმა ლევან დავითაშვილმა, რომელიც თან ახლავს რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის დელეგაციას. მისი სიტყვებით, გენადი ონიშჩენკოს უწყების წარმომადგენლებმა უკვე დაათვალიერეს მრავალი საწარმო ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებში. „ვითარება სრულ კონტროლს ექვემდებარება. იგი არის სამუშაო და კეთილგანწყობილი. ჩვენ ვუპასუხებთ ყველა მათ შეკითხვას, როგორც ღვინის ქარხნებთან, ისე მინერალური წყლების „ბორჯომისა“ და „ნაბეღლავის“ ჩამოსხმის საწარმოებთან დაკავშირებით, – გვაცნობა ბატონმა დავითაშვილმა.

სხვათა შორის, პრეზიდენტ სააკაშვილს ჰყავს მომხრეები საექსპერტო გაერთიანების გარემოში. „ამ დელეგაციის ვიზიტი – სამარცხვინო და სასაცილოა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი მთავრობა იშვიათი ადამიანებისგან შედგება, – განაცხადა ჩვენთან საუბარში ეკონომიკის ექსპერტმა მიხეილ თავხელიძემ. – ქართული ღვინის ექსპორტი ყველა ქვეყანაში სულ 70 მილიონ დოლარს შეეფარდება. მეტი ყურძენი საქართველოში, უბრალოდ, არ მოდის, საქართველოს ბიუჯეტი კი 5,45 მილიარდ დოლარს შეადგენს“. ამასთან ერთად ექსპერტმა გამოთქვა გაოცება, „თუ რატომ აძლევს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ასეთ მნიშვნელობას ექსპორტს რუსეთში, სადაც ქართული ღვინის ადგილი უკვე დიდი ხანია დაკავებულია“.

დღის მეორე ნახევარში რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის სპეციალისტები მიიღო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II. „იმედი მაქვს, ქართული ღვინო და წყალი დაბრუნდება რუსეთში“, – განაცხადა მან შეხვედრის დამთავრების შემდეგ, რითაც გამოხატა ღია უთანხმოება პრეზიდენტის პოზიციასთან.

Коммерсант

## დედამიწის ზურგზე



**ამერიკელმა გენერალმა გამოლანძღა გამანადგურებელ A-35-ის მწარმოებლები: ცდილობენ მთავრობას გამოწურონ „ყველაფერი უკანასკნელ ცენტამდე“**

უახლესი გამანადგურებლების დამუშავების და ექსპლოატაციის პროგრამის კურატორმა პენტაგონში, გენერალ-ლეიტენანტმა კრისტოფერ ბოგდანმა ბრალი დასდო მწარმოებლებს მისწრაფებაში გამდიდრდნენ უმალვე და იმაში, რომ არ გააჩნიათ უნარი, დაინახონ პროექტის ხანგრძლივი უპირატესობა. კომპანიებში აღშფოთდნენ, განაცხადეს, რომ მათ უწევთ სერიოზული ხარჯები და არა ტრადიციული რისკების გაწევა.

* * *

**საფრანგეთში გადადეს ორი დედალი სპილოს სიკვდილის განაჩენი, რის გამოც ბრიჯიდ ბარდო იმუქრებოდა რუსეთში წასვლით**



საფრანგეთის სახელმწიფო საბჭომ შეაჩერა გადაწყვეტილება ლიონის ზოოპარკის ორი სპილოს ბებისა და ნეპალის დაძინების შესახებ, რომლებიც ტუბერკულოზით არიან ავად. მათ საქმეს განიხილავს ადმინისტრაციული სასამართლო. სპილოებს გაუკეთებენ დამატებით ტესტებს და თუ გადაწყვეტილება მათი დაძინების შესახებ მიჩნეული იქნება კანონიერად, ცხოველებს მაინც დააძინებენ.

* * *

**პირველმა კოსმოსურმა ტურისტმა გადაწყვიტა, მარსზე გაგზავნოს ხომალდი ხანდაზმული ცოლ-ქმრით**




მთელი მოგზაურობა უნდა გაგრძელდეს 501 დღე. სტარტი გათვალისწინებულია 2018 წლის 5 იანვრისთვის. 20 აგვისტოს, პროექტის ავტორების ჩანაფიქრით, ექსპედიცია მიაღწევს მარსს. მაგრამ ხომალდი არ დაჯდება პლანეტაზე, არამედ გადაუფრენს მას 100 ათასი კილომეტრის სიშორით. დაბოლოს, 2019 წლის 21 მაისს ასტრონავტები დედამიწაზე დაბრუნდებიან.

* * *

**პერუში ისტორიაში პირველად დააფიქსირეს ვამპირების პინგვინებზე თავდასხმის ფაქტი**

მეცნიერებს სურდათ, გაერკვიათ, თუ როგორ მოქმედებენ პინგვინები ფაუნის სხვა წარმომადგენლებთან. მაგრამ, როდესაც ფრინველებს აკვირდებოდნენ, მათ შენიშნეს, რომ პინგვინებს თავს ესხმოდნენ ვამპირები. ძირითადად ღამურები უტევდნენ პინგვინების ბარტყებს. უნიკალური ფაქტი დააფიქსირეს ვიდეოზე.



## წარსულის ფურცლები

# გვირგვინები ილიჩს

**ვლადიმერ ლენინი 1924 წლის 21 იანვარს გარდაიცვალა, მაგრამ განსაკუთრებულად მდიდრული და პომპეზური დაკრძალვის ცერემონიის მიუხედავად, როგორც ცნობილია, მისი ცხედარი არ დაუმარხავთ. ერთი წლის შემდეგ კი, 1925 წლის იანვარში, გამოიცა ფუნდამენტური, შავ ყდაში ჩასმული 516-გვერდიანი წიგნი, რომელსაც ოქროს ასოებით ეწერა: „ლენინს, 1924 წლის 21 იანვარი“. თანამედროვე მკითხველი ლოგიკურად იფიქრებს, რომ ფოლიანტში პროლეტარიატის ბელადის უცნობი წერილები, ფოტოსურათები, გამოუქვეყნებელი სტატიები, ახლობლებისა და თანამებრძოლების მოგონებები და მსგავსი მასალები იქნებოდა, მაგრამ, ნურას უკაცრავად! ამ სოლიდურ გამოცემაში მხოლოდ ვლადიმერ ლენინის დაკრძალვაზე სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციების და კერძო პირების მიერ გამოგზავნილი ათასობით სამგლოვიარო გვირგვინის გამოსახულება და ტექნიკური აღწერილობა იყო მოყვანილი (?!).**

თუ ვის სნეულ გონებაში მოვიდა ამ თემაზე წიგნის გამოცემის სრულიად აბსურდული იდეა, დანამდვილებით უცნობია, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ მისი პიროვნებით აუცილებლად დაინტერესდებოდა ერთ-ერთი გვირგვინის გამგზავნი ორგანიზაცია: **„კაშჩენკოს სახელობის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მუშაკებისგან. ჩვენს ძვირფას ილიჩს, მსოფლიოს დამრიგებელსა და საზოგადოებრივ სნეულებათა მკურნალს“.**

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ბევრი გვირგვინი ხელოვნების ჭეშმარიტი ნიმუში იყო, რომელთა ფოტოები მეტი აღარ გამოქვეყნებულა. მთელი ტირაჟი 30-იან წლებში გაანადგურეს, გადარჩა მხოლოდ ორადორი ეგზემპლარი...

**„ლენინის საფლავი – თავისუფლების აკვანი“** – ეს ლოზუნგი დიდი ფანტაზიის მქონე ხალხმა, ცენტრალური აეროდინამიკური ინსტიტუტის კონსტრუქტორებმა მოიგონეს. გვირგვინს სამგლოვიარო წითელ-შავი ბაფთა აქვს, თავად „სუვენირი“ – დაფნისა და მუხის ფოთლებით შეკრული ვერცხლისფერი გვირგვინი თვითმფრინავის ხრახნის ლაპოტზეა მიმაგრებული, შიგნით კი ლენინის ფოტოა ჩასმული, რომელსაც ზემოთ მოყვანილი წარწერა ამშვენებს.

ავიამშენებელთა „შედევრს“ ლამის სიტყვა-სიტყვით იმეორებს რუსეთ-ბუხარის სააქციო საზოგადოება: **„ლენინის სამარე – აღმოსავლეთის მშრომელთა აკვანი“.**

ტყავსინდიკატის მუშებმა კი სხვა ლოზუნგი წამოაყენეს: **„შენი საფლავი – მსოფლიო კომუნის შუქურა“.** რადგან ლაპარაკი მსოფლიო კომუნაზე ჩამოვარდა, უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა ეროვნების მშრომელები ბელადს მათი ხალხების განთავისუფლებისთვის მადლობას უხდიდნენ. ემოციებს, ჩვეულებრივ, მორიდებით გამოხატავდნენ და უფრო მეტად სტანდარტულ ფორმაში აქცევდნენ, მაგალითად, **„საყვარელ ილიჩს ამა და ამ ხალხისგან“.** მაგრამ იყო „დამოუკიდებლობის მთელი დეკლარაციებიც“, ვთქვათ, **„განთავისუფლებული, თავისუფლების მოყვარე ავტონომიური ჩეჩნეთისგან დიდ ბელადს, ჩაგრულ განთავისუფლებულ ეროვნებათა გენიოსს – ვლადიმერ ილიას ძე ლენინს“.**

დიდ კომუნისტს სხვა ქვეყნებიდან თანამებრძოლებიც გამოემშვიდობნენ. საკმაოდ ვრცელი გზავნილები მიიღეს ჩინელებისგან, ფრანგებისგან, გერმანელებისგან. განზე არც კერძო პირები დარჩნენ. მაგალითად, რომაელმა ანარქისტმა ჰამლეტ ტემელინიმ თავის გვირგვინზე წააწერინა: **„კაცს, რომელმაც ყველაფერი დაიმსახურა“.** თუმცა კი რეკორდი არა რომელიღაც ებრაულმა თემმა, არამედ




პოლონეთმა დაამყარა, რომელმაც მორიდებულ გვირგვინზე წააწერინა **„ბელადს“.** ჩინოსნებში დღემდე დიდად პოპულარული მიმართვა „შეფ“, როგორც ჩანს, პირველებმა რუსეთის ერთ-ერთი მაზრის მუშებმა და გლეხებმა შემოიღეს, რომლებმაც გვირგვინს ბაფთა მიაკრეს, რომელზეც ეწერა: **„ჩვენს ძვირფას შეფს, ილიჩს“.** ისე კი, ძნელია „ტიტულის“ მოძებნა, რომელიც მაშინ ლენინს არ „მიანიჭეს“. მაგალითად, გაზეთ „იზვესტიას“ თანამშრომლებმა მას **„ჩვენი საუკეთესო თანამშრომელი“** უწოდეს, სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს მუშაკებმა – მთავარი სტატისტიკოსი. მათ გვირგვინს, კერძოდ, წაწერილი ჰქონდა: **„პროლეტარული რევოლუციის მსოფლიო ბელადს, ვლადიმერ ილიას ძე ლენინს, უდიდეს ეკონომისტს, რომელიც თავის გენიის ძალით არაფრის მთქმელ ციფრებს კლასობრივი ბრძოლის ცეცხლოვან მახვილად აქცევდა“.** მათ კოლეგებმა, შრომის ცენტრალური ინსტიტუტის თანამშრომლებმა თავიანთი ემოციები მართალია ასე ხატოვნად ვერ გამოხატეს, სამაგიეროდ სამგლოვიარო გვირგვინს... სტატისტიკური ტაბულის სახე მისცეს (ფოტო№ 5). ყველაზე ორიგინალურად მოიქცა სამთო მუშათა სრულიად რუსეთის კავშირი, რომლის მუშებმა დაკრძალვაზე ქვანახშირის მთლიანი ზოდიდან ლენინის ბიუსტი გამოაქანდაკეს (ფოტო № 6). მაგრამ, ზოგიერთმა დაწესებულებამ და ორგანიზაციამ ეკონომიის გაწევა ამჯობინა. მაგალითად, დონბასის მბეჭდავებმა დაკრძალვაზე მხლოდ შავი სატინის ვიწრო ბაფთა გაგზავნეს, რომელზეც ყვითელი ფერის ზეთის საღებავით წაწერილი იყო: **„ვ.ი.ლენინს“.** ასეთივე, ოღონდ აბრეშუმის ბაფთა მიიტანეს დაკრძალვაზე რკპ (ბ)-ს შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებმა, რომელსაც წარწერა ჰქონდა: **„უკვდავ ილიჩს, მასწავლებელს, ბელადს, კომუნიზმის მშენებელს. იმ საქმეს, რომლისთვის შენ ცხოვრობდი და იბრძოდი, გვირგვინის მაგიერ უძღვნით ჩვენს თავს, ჩვენს სიცოცხლეს“.** იყო ავანგარდული გვირგვინებიც, რომლის მსგავსი, მაგალითად, „მხატვარ-პროექციონისტებმა“ დაამზადეს (ფოტო № 2).

მშრომელთა ფანტაზიას, ჭეშმარიტად, საზღვარი არ ჰქონდა, გვირგვინების ბაფთებზე ტექსტები კი ხშირად უნიკალურობით გამოირჩეოდა. მაგალითად, **„სარანსკის მშრომელებისგან: ძვირფას ბელადს, ვლადიმერ ილიას ძე ლენინს. შენი სიკვდილის გამოწვევას ჩვენ მანქანების გრუხუნით, ჩაქუჩების კაკუნით, წითელ აეროპლანთა ფრთების ქნევით ვუპასუხებთ“.** პეტროგრადის სიფხიზლის ორგანიზაციამ კი (!) თავისი გვირგვინი ამ წარწერით დაამშვენა: **„დაე, ფხიზელი იყოს ყველა, ვისაც ილიჩი უყვარს, ყველანი მანკიერებასთან საბრძოლველად დაირაზმეთ, თქვენ იცით რა თქვა ილიჩმა – იმუშავე და ფხიზელი იყავი“.** გარდაცვლილისადმი ლოიალობას წინდახედულად საჯაროდ აცხადებდნენ ვაჭართა წრეების წარმომადგენლებიც. მოსკოვის სმოლენსკის ბაზრის ჯიხურების გამყიდველებმა გვირგვინს წააწერეს: **„ვლადიმერ ილიას ძე ლენინს, რუსეთის რევოლუციის რაინდს, დიდ მასწავლებელსა და ჩაგრულთა დამცველს“,** თუმცა სააქციო საზოგადოება „მატყლის“ მეპატრონეების წარწერა მაინცდამაინც აქტუალობით არ გამოირჩეოდა: **„გამოსათხოვარი სალამი ილიჩს“.**

ბევრნი ცოდვებს ინანიებდნენ. ციხეების, კოლონიების, გამოსასწორებელი სახლების, ბანაკების ბინადრებმა გამოგზავნილ გვირგვინებს ტაგანკის ცნობილი ციხის პატიმრებმა წერილიც მიაყოლეს: **„შენი სწავლების ერთგულების დამტკიცებას პირადად დასწრებით ვერ ვახერხებთ მშრომელთა წინაშე ნებსით თუ უნებლიედ ჩადენილი შეცდომების გამო, მაგრამ სულით, შეგნებითა და ინსტინქტით შენს გვერდით ვართ შენი მტრების წინააღმდეგ“.** მონანიებას გამოხატავდა წარსულში ცნობილი ესერიც: **„ესერიზმის ულრანში გზას აცდენილი, 1918 წლიდან ყოფილი პოლიტკატორღელი, სულით ხორცამდე შენი პ.ფ.ივანოვი (სიბირიაკი)“.**

**ნინო ალექსანდრია**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კვალი დროში

# სტრატეგიული მნიშვნელობის ინსტიტუტი საიმედო ხელშია

ეყრდნობოდა რა აკადემიკოს ც. მირცხულავას შრომებს, გივი გავარდაშვილმა პირველმა მოგვცა ეროზიულ-ღვარცოფული პროცესების ხარისხობრივი შეფასება და აღწერა ტრამპლინის ტიპის ახალი ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობათა მწყობრიდან გამოსვლის რისკი.

სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებთან ერთად იუბილარი ეწევა ერთობ ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობასაც; როგორც სტუ-ის სრული პროფესორი, ლექციებს უკითხავს სამშენებლო ფაკულტეტის მელიორაციის სპეციალობის სტუდენტებსა და დოქტორანტებს; მისი ხელმძღვანელობით დაცულია 4 საკანდიდატო დისერტაცია, მისივე ხელმძღვანელობით ნაყოფიერად იმუშავეს და დაიცვეს სამაგისტრო ნაშრომები გერმანელმა და ჩინელმა მაგისტრებმა; ამჟამად ის 2 ქართველი დოქტორანტის ხელმძღვანელია.

სტუ-ის რექტორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის არჩილ ფრანგიშვილის მხარდაჭერით, პროფესორ გივი გავარდაშვილისა და ასოცირებული პროფესორის ზურაბ ლობჟანიძის ხელმძღვანელობით მომუშავე პედაგოგთა ჯგუფმა მოამზადა სასოფლო-სამეურნეო მელიორაციაში პროფესიული სწავლების, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს სახელმწიფო აკრედიტაცია. 2012 წლიდან პირველად სტუ-ის ისტორიაში მზადდება ამ პროფილის კადრები. არჩილ ფრანგიშვილი, გივი გავარდაშვილი და ჯემალ კახიძე არიან ერთ-ერთი პირველი ინიციატორები სამტრედიის რაიონში, სოფელ დიდ ჯიხაიშში ნიკო ნიკოლაძის სახელობის პროფესიული სწავლების ცენტრის აღდგენისა; რა თქმა უნდა, ეს კიდევ ერთი საგულისხმო ნაბიჯია სოფლის მეურნეობის მიმართულებით ქვეყნისათვის პროფესიული კადრების აღზრდაში.

2005 წლიდან გივი გავარდაშვილი ჩვენი ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალის მთავარი რედაქტორი გახლავთ. მისი მაღალი მეცნიერული ავტორიტეტის აღიარებაა აგრეთვე რუსეთში გამომავალი სამეცნიერო ჟურნალის „экологические системы и приборы", ერევნის არქიტექტურისა და მშენებლობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლონეთის ჩესტოჰოვას ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების წევრობა.

როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ის არის 2008 წლის აგვისტოში საქართველოში საომარი მოქმედებების შედეგად გადამწვარი ტყეებისა და ნიადაგის შეფასების სახელმწიფო კომისიის წევრი; წყლის რესურსთა პრობლემების, ენერგოუსაფრთხოების, მელიორაციისა და გარემოს დაცვის საკითხებში არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული გრანტის, პროექტის, ბიზნესის ხელშემწყობი პროექტის ხელმძღვანელი და ძირითადი შემსრულებელი; მიწვეული იყო ბევრი საერთაშორისო კონგრესის, სიმპოზიუმისა თუ კონფერენციის თავმჯდომარედ, თანათავმჯდომარედ, საორგანიზაციო კომიტეტის წევრად; დავასახელოთ თუნდაც 2011 წლის აპრილში აშშ-ში, მერილენდის უნივერსიტეტის ბაზაზე გამართული I მსოფლიო კონფერენცია „მოწყვლადობა, საიმედოობა და რისკი", რომლის საორგანიზაციო კომიტეტის წევრიც გახლდათ ბატონი გივი; ამავე წლის ივნისში იტალიაში, პადუას უნივერსიტეტში შემდგარი V მსოფლიო ღვარცოფების კონფერენცია, სადაც ის ძირითად და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ღვარცოფების პრობლემათა მკვლევარებიდან პირველ მომხსენებლად გამოვიდა.

იუბილარი აქტიურადაა ჩართული ქვეყნის ბუნების დამცავ პროექტებში. ის გახლავთ ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობსადენის, შაჰ-დენიზის გაზსადენის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის დერეფნის, სტორის, მისაქციელის, კახარეთის, მცირე ჰესების გარემოთა დაცვის ექსპერტი; გარემოს დამცავი 200-ზე მეტი ნაგებობის დამპროექტებელი; უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით არაერთი ეკლესია-მონასტრის გარემოს დაცვის პროექტთა მთავარი ინჟინერი, ექსპერტი ან მეცნიერ-კონსულტანტი; მისი ხელმძღვანელობით ათეულობით გარემოს დაცვის პროექტი განხორციელდა დსთ-ის სხვადასხვა ქვეყანაში, ისრაელში.

სამეცნიერო-საექსპერტო თუ პედაგოგიური გამოცდილების პარალელურად გივი გავარდაშვილმა მაღალ დონეზე მიიღო საორგანიზაციო-მენეჯმენტური გამოცდილებაც. მისი დირექტორობის პერიოდში ინსტიტუტმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციებთან: მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ერევნის არქიტექტურისა და მშენებლობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ყირგიზეთის მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკისა და წყლის პრობლემების ინსტიტუტთან, მერილენდის უნივერსიტეტთან (აშშ), ბოკუს უნივერსიტეტის წყლის პრობლემათა და სოფლის მეურნეობის ინსტიტუტთან (ავსტრია), ჰესენის უნივერსიტეტთან (გერმანია), ვროცლავის გარემოს დაცვისა და სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნიერსიტეტთან (პოლონეთი), შვეიცარიის დახმარებისა და განვითარების სააგენტოსთან, ვუჰანის ნორმალის ცენტრალური უნივერსიტეტთან (ჩინეთი), მართლაც რომ შთამბეჭდავი ნუსხაა!

ცალკე უნდა შევჩერდეთ გივი გავარდაშვილის ხელმძღვანელობითა და სახელმწიფოს თანადგომით 2009 წელს იუნესკოს ეგიდით ჩატარებულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე „წყალდიდობები და მათთან ბრძოლის თანამედროვე პრობლემები", რომელიც საქართველოს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დაარსებიდან 80 წლისთავს მიეძღვნა. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ მსოფლიოს 22 ქვეყნის წარმომადგენლები. მის მეცნიერულ დონეს მაღალი შეაფასება მისცა იუნესკომ.

ინსტიტუტის მთელი კოლექტივისა და მისი წინამძღოლის თავდადებული შრომის ნაყოფი აისახა ბევრ საპატიო ჯილდოში. ინსტიტუტის ჰიდროტექნიკური ლაბორატორია, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო, 2005 წელს დაჯილდოვდა შვეიცარიის დიპლომით „ასწლეული ეპოქის საერთაშორისო ხარისხის მინიჭება"; 4 წლის შემდეგ ინსტიტუტს გადაეცა ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის (**ABI**) ოქროს მედალი; ზედიზედ 2008 და 2009 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დიპლომები – როგორც ქვეყნის საუკეთესო კვლევით დაწესებულებას სოფლის მეურნეობის (წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის) დარგში.

შარშან, სექტემბერში, პოლონეთში გივი გავარდაშვილის ვიზიტისას, ჩესტოჰოვას ტექნოლოგიური უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მარია ნოვიცკასკოვრონმა სტუმარი დააჯილდოვა ვერცხლის მედლითა და დიპლომით, რაც, რა თქმა უნდა, მთელი ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერული მოღვაწეობის ფართო აღიარების ნიშნად უნდა მივიჩნიოთ.

ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების მაღალ მეცნიერულ პოტენციალზე მიუთითებს ისიც, რომ ქვეყანაში 2006 წელს საგრანტო სისტემის შემოღებიდან დღემდე შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან დაფინანსება მოპოვებულია 19 საგრანტო პროექტზე. ინსტიტუტმა კიდევ 2 საერთაშორისო გრანტი მოიპოვა ამერიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიიდან და ევროკავშირიდან (**FP**-7).

კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ლექციების წასაკითხად მიწვევით გივი გავარდაშვილი სხვადასხვა დროს სამ-სამჯერ იმყოფებოდა აშშ-ში, გერმანიაში, ისრაელში, პოლონეთში, თითოჯერ ავტრიაში, იტალიაში, კვიპროსში, აგრეთვე დსთ-ის ქვეყნებში. 2009 წლის ივლისში ქ. ბრიუსელში (ბელგია), ნატო-ს შტაბბინაში ერთ სპეციალურ პროექტთან დაკავშირებულმა მისმა მოხსენებამ ექსპერტთა ქება დაიმსახურა. აგრეთვე წარმატებული იყო 2010 წლის ოქტომბერში, ქ. ბუქარესტში (რუმინეთი) სპეციფიკური ევროგრანტის ეგიდით გივი გავარდაშვილის გამოსვლა, რაც შემდგომი დაფინანსების საფუძველი გახდა.

ყველა სიკეთესთან ერთად ბატონი გივი გახლავთ ჩინებული მეოჯახე და შესანიშნავი ოჯახის პატრონი: მეუღლე ნანა ქურციკიძე, სპეციალობით ინჟინერი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფროსი სპეციალისტია; ქალიშვილები ნათია და ანა გავარდაშვილები თავისუფლად ფლობენ კომპიუტერულ ტექნიკასა და უცხო ენებს: გერმანულს, ინგლისურს, რუსულს. ნათია თსუ-ის დოქტორანტია, რომელიც უახლოეს პერიოდში წარადგენს სადისერტაციო ნაშრომს აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, პარალელურად შპს „ჯეოსელის" მარკეტინგის განყოფილების სპეციალისტია, ჰყავს მეუღლე, ინჟინერ-პროგრამისტი ირაკლი ფხალაძე და 2 წლის გოგონა – ელენე. ანა ინფორმატიკისა და კომპიუტერული ქსელების მაგისტრია, მუშაობს პარფიუმერული ფირმის შპს „ეივონის" ვებ-გვერდის რედაქტორად, ჰყავს მეუღლე, არქიტექტორი ზვიად ხორნაული და ორი შვილი: 4 წლის სესილი და 4 თვის სანდრო.

გივი გავარდაშვილს 55 წლის იუბილე მიულოცეს მსოფლიოს 26 ქვეყნის უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების პროფესორებმა და მეცნიერ-თანამშრომლებმა, ლამის მთელ ანბანზე გადაწვდომით – აშშ-დან ჰოლანდიამდე.

ბატონი გივი სრული შემოქმედებითი სიმწიფის ხანაშია და ყოველმხრივ წარმატებულია: სამეცნიერო, პედაგოგიურ, საზოგადოებრივ ასპარეზებზეც, ოჯახშიც, სანათესაო-სამეგობრო წრეებშიც.

ინსტიტუტის ადმინისტრაცია, თანამშრომლები და სამეცნიერო საბჭო მხურვალედ ულოცავენ 55 წლის იუბილეს ინსტიტუტისათვის თავდადებულ დირექტორსა და ძვირფას კოლეგას და მომავალში ხანგრძლივ, კვლავაც ასე მრავალმხრივ, ნაყოფიერ მოღვაწეობას უსურვებენ.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი**

ჯანდაცვა

# გუშინდლიდან მთელი საქართველო დაზღვეულია

**საყოველთაო დაზღვევა 28 თებერვლიდან დაიწყო და 1 ივლისამდე მოსახლეობა შეზღუდული პაკეტით ისარგებლებს, ხოლო შემდეგ – ბეგმიური სამედიცინო მომსახურებითაც. კერძო მზღვეველები ოდენ წლის ბოლომდე დარჩებიან სახელმწიფო პროგრამაში, შემდეგ კი მათთვის ვითარება დამძიმდება.**

ჯანდაცვის მინისტრის მრჩევლის ლაშა ნიკოლაძის თქმით **„პირველ ეტაპზე, 28 თებერვლიდან ძალაში შევიდა დაუზღვეველი მოსახლეობისთვის ურგენტული პროგრამის და მინიმალური ამბულატორიული სერვისების დაფინანსების პროგრამა, რაც გულისხმობს დაავადებათა სპეციალურ ნუსხაში მოხვედრილი ადამიანების დაფინანსებას. ეს ნუსხა გახლავთ ასევე კრიტიკული და სტაციონარული, დაახლოებით, 450-ზე მეტი ჩანაწერია, რომელთაც სახელმწიფო დააფინანსებს. გარდა ამისა, დაიფარება მინიმალური, პირველადი ამბულატორიული სერვისები, რაც გულისხმობს ოჯახის ექიმის მომსახურებასა და მინიმალურ გამოკვლევებს",** – მისივე თქმით, სახელმწიფო ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამა მოიცავს მხოლოდ დაავადებების საბაზისო პაკეტს, რომლის ზემოთაც, რაც საკმაოდ ვრცელია, ადამიანი თვითდაფინანსებაზე იქნება.



სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას" გენერალური დირექტორი ნიკოლოზ რამიშვილი მიიჩნევს, რომ ახალი საყოველთაო სადაზღვევო პროგრამის ამოქმედება კერძო სადაზღვევო კომპანიებს რამდენიმე პრობლემას შეუქმნის და სადაზღვევო ინდუსტრიას ძალიან შეამცირებს. ის ამის მიზეზად იმას ასახელებს, რომ სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების წილი მთლიან სადაზღვევო ინდუსტრიაში 70 პროცენტზე მეტს შეადგენს.

რამიშვილი მეორე პრობლემად იმას ასახელებს, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში სადაზღვევო კომპანიებმა ჰოსპიტალური სექტორის მშენებლობისთვის 200 მილიონის ინვესტიცია განახორციელეს. მათ ხარჯის ამოღება მხოლოდ ჰოსპიტალური სექტორიდან მოუწევთ და 15-20-ადგილიანი საავადმყოფოების შემთხვევაში რენტაბელურად მაღალი თანხის მიღება გაუჭირდებათ.

ამ მოსაზრებას არ ეთანხმება ლაშა ნიკოლაძე. **„ხმები, რომ კერძო დაზღვევა კვდება და განიცდის სტაგნაციას, არავითარ შემთხვევაში არ შეესაბამება სინამდვილეს",** – ამბობს ის.

კერძო სადაზღვევო სექტორი რომ არ დაზარალდეს, სამინისტრო მათთან ინდივიდუალურ მოლაპარაკებებს დაიწყებს, რადგან სხვადასხვა კომპანიას განსხვავებული გლობალური პრობლემები გააჩნია. **„ეს, საშუალებას შექმნის, გადასვლის ეტაპები უფრო რბილი გახდეს და სექტორს ფინანსური წნეხი არ დააწვეს".**

ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით კი, კერძო სადაზღვევო ინდუსტრია ჯერ კიდევ არაა ყველა დეტალში გარკვეული, თუ როგორ განხორციელდება უახლოესი წლის განმავლობაში ახალი პროექტი და სახელმწიფო და კერძო სექტორების ურთიერთობა.

**„ჯანდაცვის სამინისტრომ მათ შესთავაზა ღია ურთიერთობა. ჩვენ არც ერთ იმპერატიულ გადაწყვეტილებას არ მივიღებთ",** – აღნიშნა სერგეენკომ.

საყოველთაო დაზღვევა ჯერ არ ამოქმედებულა და მის მიმართ კრიტიკა უკვე ისმის. ერთ-ერთი პირველი მათ შორის ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილია, რომელიც მიიჩნევს, რომ თებერვლის ბოლოდან ასამოქმედებელი 5-ლარიანი დაზღვევა არც საზოგადოების მოლოდინს და არც „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო განაცხადს არ პასუხობს.

ჭიაბერაშვილის აზრით, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ თებერვლის ბოლოსთვის დაგეგმილი დაზღვევის სისტემა კერძო სადაზღვევო კომპანიებს დააზარალებს და თუკი ისინი საერთოდ გადარჩნენ, გადაიქცევიან პატარა ოფისებად, რომლებიც გაყიდიან სადაზღვევო პაკეტებს, მაგრამ გაცილებით ძვირად, ვიდრე დღეს ყიდიან.

**„კერძო სადაზღვევო კომპანიები ან საერთოდ გავლენ ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზრიდან ან დარჩებიან „ბუტიკებად" და სახელმწიფო ფონდი მონოპოლიურ ან თითქმის მონოპოლიურ მდგომარეობაში აღმოჩნდება ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარზე, იგი უკარნახებს ფასებს სამედიცინო დაწესებულებებს და შეეცდება სამედიცინო მომსახურების ფასები შეამცირებინოს. ეს მოკლე ვადაში თითქოს კარგი იქნება, მაგრამ გრძელვადიანად გააუარესებს სამედიცინო მომსახურების ხარისხს, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს სამედიცინო დაწესებულებებს, რაც შედეგად მოიტანს სამუშაო ადგილების შემცირებას, ან სახელფასო განაკვეთების თუ შემცირებას არა, გაყინვას მაინც.**

**ეს მიგვიყვანს პაციენტის ჯიბიდან გადახდილი თანხების ზრდასთან და „საყოველთაო დაზღვევის" ფიქციად ქცევასთან, როდესაც კოალიცია „ქართულ ოცნებას" წინასაარჩევნო დაპირება ფორმალურად შესრულებული ექნება, რეალურად კი – არა",** – აღნიშნავს ჭიაბერაშვილი.

**ჭიაბერაშვილი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ბიუროკრატიაზე უკეთ კერძო სადაზღვევო კომპანია ახერხებს, ყაირათიანად ხარჯოს კონკრეტული პაციენტის სამედიცინო მომსახურებაზე გაწეული ხარჯები. ბოლო სამი წლის განმავლობაში, სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის მეშვეობით სახელმწიფოს მიერ დაზღვეული 900,000 ადამიანისთვის (სოციალურად დაუცველები, პედაგოგები, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეები) გაწეული ჯანდაცვის ხარჯმა 15-25%-ით მოიკლო სწორედ კერძო სადაზღვევო კომპანიებისა და სამედიცინო დაწესებულებების მიერ ხარჯების ოპტიმიზაციის წყალობით. ამ საშუალებას კი საყოველთაო დაზღვევა მთლიანად სპობს.**

ეკა ბაქრაძე



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პროტესტი

# სიბინძურე სიბინძურეს შობს



**2000 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, თავისუფალი სტილით მოჭიდავე საგიდ მურთაზალიევი თავის ოქროს მედალს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს პროტესტის ნიშნად უკან გაუგზავნის, თუკი ეს უკანასკნელი 2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჭიდაობას არ დააბრუნებს.**

რუსეთის ნაკრების დაღესტნელმა წევრმა ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჟაკ როგს წერილით მიმართა და ტექსტის შინაარსი ოფიციალურად გაავრცელა. მურთაზალიევი როგს ახსენებს, რომ ჭიდაობა ტრადიციული, ვაჟკაცური სპორტის სახეობაა და მისი ოლიმპიური სახეობებიდან ამოწერა დიდი უსამართლობა იქნება.

**შეგახსენებთ, რომ ოლიმპიური სახეობებიდან ჭიდაობის ამოღების წინასწარი გადაწყვეტილება სოკ-მა ახლახან მიიღო და ერთ-ერთ უმთავრეს ოფიციალურ მიზეზად ამ სახეობის დაბალი რეიტინგი დასახელდა, მაგრამ გაცილებით რეალური საბაბი ჭიდაობის უმაღლეს ეშელონებში გამეფებული კორუფციაა.**

უცნაური კი ისაა, რომ ოლიმპიური კომიტეტისგან ჭიდაობის დასჯას ყველაზე ხმამაღლა ის ხალხი აკრიტიკებს, ვისი სახელიც ამ სახეობის საეჭვო რეპუტაციასთან პირდაპირ კავშირშია. შეგახსენებთ, სიდნეის ოლიმპიადის ნახევარფინალში საგიდ მურთაზალიევმა ელდარ კურტანიძე დაამარცხა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ფინალის საგზური ბინძური ჭიდაობით და მსაჯების „დაბრმავებით" გაინაღდა, მერე კი ჩემპიონიც გახდა, ხოლო კურტანიძემ მესამე ადგილი დაიკავა.

**ასეთი უსამართლობების მთელი დასტა რომ არა, არც ჭიდაობას დაემუქრებოდა ოლიმპიადის მიღმა დარჩენის საფრთხე და ვერც საგიდ მურთაზალიევი გახდებოდა ოლიმპიური ჩემპიონი.**

**მანუჩარ გიორგაძე**

„ევრო – 2013"

# კალათბურთის ფედერაციამ ნაკრების მოსამზადებელი გეგმა დაამტკიცა

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ პრესკონფერენცია გამართა.**

მისი თემა ეროვნული ნაკრების საწვრთნელი გეგმა იყო, რომლის მიხედვითაც საქართველოს ნაკრები სექტემბერში სლოვენიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის მოემზადება.

„ჯვაროსანთა" მოსამზადებელ პროგრამაზე ჟურნალისტებთან კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა და გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა ისაუბრეს.



**საქართველოს ნაკრების მოსამზადებელი გეგმა ევროპის ჩემპიონატისთვის ასეთია:**

**8-24 ივლისი.** ვარჯიშები ფიზიკურ მომზადებაში (თბილისი).

**25 ივლისი-6 აგვისტო.** მოსამზადებელი შეკრება ქ.პოდჩეტრტეკში (სლოვენია)

**7-9 აგვისტო.** საერთაშორისო ტურნირი ქ. ტრენტოში (იტალია).

**მონაწილეობენ: საქართველო, იტალია, პოლონეთი, მეოთხე გუნდი ჯერ უცნობია.**

**10-13 აგვისტო.** მოსამზადებელი შეკრება ქ. პოდჩეტრტეკში (სლოვენია).

**13 აგვისტო.** ამხანაგური მატჩი საქართველო-ბოსნია ქ. ცელიეში (სლოვენია).

**14 აგვისტო.** ამხანაგური მატჩი საქართველო-ბოსნია ქ. იესენიცეში (სლოვენია).

**16-17 აგვისტო.** საერთაშორისო ტურნირი ქ. ანტიბში (საფრანგეთი).

**მონაწილეობენ: საქართველო, საფრანგეთი, სერბეთი.**

**18-22 აგვისტო.** მოსამზადებელი შეკრება თბილისში.

**25-28 აგვისტო.** საერთაშორისო ტურნირი ქ. თელ-ავივში (ისრაელი).

**მონაწილეობენ: საქართველო, ისრაელი, ლატვია, მეოთხე გუნდი ჯერ უცნობია.**

**1 სექტემბერი.** ამხანაგური მატჩი ლიტვა-საქართველო ქ. კაუნასში, (ლიტვა).

**2 სექტემბერი.** გამგზავრება სლოვენიაში ევროპის ჩემპიონატზე.

**საქართველოს ნაკრების მეტოქეები და მატჩების ჩატარების დრო ევროპის ჩემპიონატზე.**

**4 სექტემბერი.** 16:30, საქართველო – პოლონეთი.

**5 სექტემბერი.** 16:30, ხორვატეთი – საქართველო.

**7 სექტემბერი.** 23:00, საქართველო – სლოვენია.

**8 სექტემბერი.** 19:45, ჩეხეთი – საქართველო.

**9 სექტემბერი.** 16:30, საქართველო – ესპანეთი.

**ვიტალი ჯაფარიძე**

სამბო

# ფავორიტებმა ამჯერადაც იძალეს

**იტალიური კრემა 17-21 მაისს სამბისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდისთვის კანდიდატების შერჩევას ემსახურებოდა ქვეყნის პირველობა, რომელსაც ოლიმპიური ჩემპიონის – შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზმა უმასპინძლა. შეჯიბრებაში სხვადასხვა რეგიონის 150-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.** ამჯერად ტრავმის გამო არ უასპარეზია მსოფლიოს და ხუთგზის ევროპის ჩემპიონ უშანგი კუზანაშვილს (57 კგ). ფავორიტებმა – პაატა მერებაშვილმა, კახა მამულაშვილმა, ნიკოლოზ კუციამ, პაატა ღვინიაშვილმა, ლაშა გურულმა გამოცდილების ხარჯზე თავიანთი უპირატესობა ამჯერადაც დაამტკიცეს, თუმცა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა მათთვის სულაც არ ყოფილა იოლი გასეირნება. ტურნირმა დაამტკიცა, რომ ისინი, თუ არ „მოუმატებენ", ნაკრებში თავს კომფორტულად ველარ იგრძნობენ, რასაც ნაკრების მთავარი მწვრთნელის – ჯონდო მუზაშვილის სიტყვებიც ადასტურებს: საქართველოს ჩემპიონობა ევროპაზე წასვლის გარანტია სულაც არ არისო. აქვე დავძენთ, რომ საქართველოს პირველობაზე ევროპის ჩემპიონის - ვანო გამხიტაშვილის პრიზი პაატა ღვინიაშვილს, ხოლო ტრაგიკულად დაღუპული ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ არჩილ ჩოხელის სახელობის თასი ლევან ნახუცრიშვილს გადაეცა. საგულისხმოა ისიც, რომ მერებაშვილი, ხვიჩა ხუციშვილი, ღვინიაშვილი და დავით ლორიაშვილი 2-3 მარტს ვარშავაში ძიუდოისტთა ღია თასზე იჭიდავებენ.



**კვარცხლბეკი**

**52 კგ.** 1. გივი ნადარეიშვილი, 2. ვაჟა ლატარია, 3. ნუკრი ბერაია (სამივე – სამეგრელო-ზემო სვანეთი), დიმიტრი მულაძე (შიდა ქართლი).

**57 კგ.** 1. ვახტანგ ჩიდრაშვილი (კახეთი), 2. გენადი ჩირგაძე, 3. ილია ტყეშელაშვილი (ორივე - იმერეთი), იოსებ ცერცვაძე (თბილისი).

**62 კგ.** 1. პაატა მერებაშვილი (შიდა ქართლი), 2. შმაგი ლაგაზაური (კახეთი), 3. ზურაბ შველიძე, ლუკა ჯაში (ორივე – თბილისი).

**68 კგ.** 1. ლევან ნახუცრიშვილი (მცხეთა-მთიანეთი), 2. ბექა ტუღუში (სამეგრელო-ზემო სვანეთი), 3. ლევან დადვანი (ქვემო ქართლი), ბექა ბერუაშვილი (თბილისი).

**74 კგ.** 1. კახა მამულაშვილი (შიდა ქართლი), 2. ბექა ბერულავა (სამეგრელო-ზემო სვანეთი), 3. გიორგი პაპუნაშვილი (შიდა ქართლი), მიხეილ ჩოხელი (კახეთი).

**82 კგ.** 1. ნიკოლოზ კუცია (სამეგრელო-ზემო სვანეთი), 2. კობა კასოევი, 3. გიორგი დილებაშვილი (სამაჩაბლო), ხვიჩა ხუციშვილი (თბილისი).

**90 კგ.** 1. პაატა ღვინიაშვილი (შიდა ქართლი), 2. გიორგი იაძე (აფხაზეთი), 3. ნოდარ კუდუხაშვილი (შიდა ქართლი), ფრიდონ ზურაბიანი (მცხეთა-მთიანეთი).

**100 კგ.** 1. ლაშა გურული (იმერეთი), 2. გიორგი ქავთარაძე, 3. დავით ლორიაშვილი (ორივე - ქვემო ქართლი), ბექა ბერძენიშვილი (სამცხე-ჯავახეთი).

**+100 კგ.** 1. ონისე ბუღაძე (იმერეთი), 2. სლავა რეზესიძე (ქვემო ქართლი), 3. გიორგი ლაზუაშვილი, დავით ბოჭორიშვილი (ორივე – იმერეთი).

**ლაშა დიდია**

დარბაზბურთი

# უეფამ კენჭისყრის თარიღი დაადგინა

**აპრილში თბილისში გასამართი უეფას თასის გათამაშების ოთხთა ფინალის კენჭისყრის თარიღი უკვე ცნობილია. ამის შესახებ უეფას ოფიციალური ვებგვერდი იუწყება. კენჭისყრა თბილისში, 27 მარტს, ოთხშაბათს, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში" გაიმართება და ცერემონიის საპატიო ელჩები და ღონისძიების წამყვანები შოთა და არჩილ არველაძეები იქნებიან.**

კენჭისყრაზე დასასწრებად თბილისში ჩამოვლენ უეფას წარმომადგენლები და, რა თქმა უნდა, ოთხთა ფინალში მონაწილე გუნდების – „ბარსელონას", „ქაირათისა" და მოსკოვის „დინამოს" დელეგაციები. ღონისძიება თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება და მასზე დასწრება სპორტული მედიის წარმომადგენლებსაც უპრობლემოდ შეეძლებათ.

**გიორგი შოთაძე**




წყალბურთი

# ჩემპიონთა ლიგა ქულით დაასრულეს

**საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" საქართველოს სამგზის ჩემპიონებმა „ლიგამუსი-თბილისის" წყალბურთელებმა (ჭუმბურიძე, ქენქაძე, ჩიქვინიძე, ყაზახიშვილი, ლაითაძე (კ), ურუშაძე, ხვედელიანი, ბაღათურია, გეგელაშვილი, გიორგაძე, ქავთარაძე, კაპანაძე. მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ისელიძე, მწვრთნელი იოვან პოპოვიჩი) ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩში უნგრეთის „ეგერს" უმასპინძლეს. მადიარებს არა მარტო „ა" ჯგუფში, არამედ მთლიანად გათამაშებაში ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევენ, ამიტომ ვლადიმერ ისელიძის ნაკლებადგამოცდილი შეგირდების შანსი ამ პაექრობაში, ფაქტობრივად, უმნიშვნელო იყო. მით უმეტეს, რომ ლიგამუსელებმა პირველი წრის ორთაბრძოლა სტუმრად დიდი ანგარიშით დათმეს – 5:27.**



შეხვედრა უნგრელთა იერიშებით დაიწყო და მეორე წუთზე გაბორ კოვაჩმა ანგარიში გახსნა. კოტე გეგელაშვილმა წონასწორობა მალევე აღადგინა, ხოლო მომდევნო ორწუთიან მონაკვეთში მეტოქეებმა თითო ბურთი გაცვალეს (გოლები ჩილკომ და ბაღათურიამ მიითვალეს). ამის შემდეგ მატჩის სადავეები „ეგერმა" იგდო ხელთ და საფინალო სასტვენამდე არ დაუთმია. საბოლოოდ გაიმარჯვეს სტუმრებმა 12:4 (4:2, 3:0, 1:1, 4:1) და ჯგუფში 24 ქულით მე-3 ადგილი დაიკავეს. ამდენივე ქულას მოუყარეს თავი საბერძნეთის „ვულიაგმენმა" და ვოლგოგრადის „სპარტაკმა"(ბოლო ტურში რუსებმა ელინელებს 9:7 აჯობეს), რომლებმაც ურთიერთშეხვედრებში ბურთების უკეთესი სხვაობით, შესაბამისად, პირველ-მეორე ადგილები გაიყვეს. „ვულიაგმენი", „სპარტაკი", „ეგერი" და ჯგუფში მე-4 ადგილზე გასული ჰოლანდიის „შუურმანი" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ითამაშებენ.

საქართველოს პირველობის სამგზის გამარჯვებულმა „ლიგამუსმა" ჩემპიონთა ლიგაში სადებიუტო გამოსვლა გერმანიის „ვასპო-98"-თან შინ მოპოვებული ერთი ქულით დაასრულა. ახლა ქართველი წყალბურთელები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის მოემზადებიან. ერთ-ერთ ეტაპს აპრილის პირველ დეკადაში თბილისი უმასპინძლებს.

**ლექსო ცინცაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

უკვდავყოფა

# ბიუსტში გაცოცხლებული რამაზ ჩხიკვაძე

**გუშინ, 28 თებერვალს, „პლეხანოვზე“, კარგარეთელის ქუჩაზე მდებარე საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმის ეზოში გამოფენილ ერის კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა ბიუსტებს შეემატა საქართველოს სახალხო არტისტის, ამ ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილი ჩვენი სახელგანთქმული მსახიობის რამაზ ჩხიკვაძის ბიუსტი, რომლის ავტორია ცნობილი მოქანდაკე გურამ პაპინაშვილი.**

რამაზ ჩხიკვაძე გუშინ 85 წლისა გახდებოდა. წავიდა იგი, ვალმოხდილი, დამაშვრალი მსახიობი, რომელმაც ქართული თეატრისა და კინოს წინსვლისა და ამაღლების საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა.

ბიუსტის გახსნას, ცხადია, წინ უძღოდა შეხვედრა, რომელზედაც, წვიმიანი ამინდის მიუხედავად, თავი მოიყარეს ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა.

შეხვედრა გახსნა მუზეუმის დირექტორმა **გიორგი კალანდიამ,** რამაზ ჩხიკვაძის ბიუსტის გახსნის მნიშვნელობაზე, დიდი მსახიობის შემოქმედებაზე ისაუბრეს საქართველოს კულტურის მინისტრმა **გურამ ოდიშარიამ,** საქართველოს სახალხო არტისტებმა, კინორეჟისორებმა **რეზო ჩხეიძემ** და **ელდარ შენგელაიამ,** ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსან რაინდთა თავკაცმა, კინომცოდნე **გოგი დოლიძემ,** რამაზ ჩხიკვაძის შვილიშვილმა **რამაზ ჩხიკვაძემ...**





ითქვა, რომ შეიქმნება რამაზ ჩხიკვაძის სახელობის ფონდი, რომელიც ყოველწლიურად გადაეცემა კომპეტენტური ჟიურის მიერ გამოვლენილ საუკეთესო მსახიობს...

იქაურობას კი რადიოთი ეფინებოდა საყვარელი მსახიობის მიერ სხვადასხვა დროს, სპექტაკლებში თუ კინოფილმებში შესრულებული სიმღერები, რომლებიც ასე ძვირფასია მსმენელისთვის.

**აკა მაღლაკელიძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

რეიტინგი

# ბიზნეს-პოზიციები: ჩვენი ადგილი მსოფლიოში

**იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ეკონომიკა, სიმძლავრითა და წელგამართულობით მაინცდამაინც ვერ გამოირჩევა, ფაქტი ფაქტად რჩება: „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განვლილ პერიოდში ქვეყანაში ბიზნესის დაწყება ძალიან მოკლე დროშია შესაძლებელი და, თუ უცხოელი ექსპერტების დასკვნას ვენდობით, მისი შემდგომი წარმოების მხრივაც არანაირი სიძნელე არ არსებობს.**

ყოველ შემთხვევაში, მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ ანგარიშში „დოინგ ბიზნეს 2013“-ში სამეურნეო საქმიანობის წარმოების მხრივ საქართველომ, მსოფლიოს 185 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, მეცხრე პოზიცია დაიკავა. სასიხარულოა ის გარემოება, რომ ამ პარამეტრით განვითარებად ქვეყნებს შორის საქართველო პირველია, ვინც ამ მნიშვნელოვან საერთაშორისო რეიტინგის პირველ ათეულში მოხვდა, კვლევაში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ 2005 წლის შემდგომ განხორციელებული რეფორმების მხრივ საქართველო არა მარტო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონების ქვეყნებს შორის, არამედ მსოფლიოშიც ლიდერია.

ბოლო შვიდი წლის მანძილზე საქართველოში საქმიანი მოღვაწეობის დაწყებისა და შემდგომ მისი გაგრძელების გაიოლების უზრუნველსაყოფად 35 რეფორმა განხორციელდა, რომლებიც მიზნად, უწინარესად, ინსტიტუციური, აგრეთვე, მარეგულირებელი გარემოს დახვეწას ისახავდა. კვლევაში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ამ მხრივ დასახული მიზანი მიღწეულია, ქვეყანამ ყველა მაჩვენებლის მხრივ პოზიცია კიდევ უფრო გაიუმჯობესა, რაც თავად რეიტინგშიც აისახა. მათ შორის შარშანდელი შედეგების გათვალისწინებით, აღნიშნული პოზიციებიდან გაუმჯობესდა რამდენიმე მაჩვენებელი, თუმცა, ზოგიერთი პარამეტრით მდგომარეობა, ფაქტობრივად, არ შეცვლილა.

კერძოდ, საკუთრების რეგისტრაციის მაჩვენებლით საქართველო 2011-12 წლებში მსოფლიოში პირველ ადგილს იკავებს, ხოლო თუ საბანკო კრედიტების ხელმისაწვდომობის პარამეტრით ვიმსჯელებთ, 2011 წელს ქვეყანა რეიტინგში მეცხრე ადგილიდან 2012 წელს მეოთხე ადგილზე გადმოვიდა, რაც, ცოტა არ იყოს, ერთგვარად საკამათო საკითხია.

საპატიო მესამე ადგილს განვლილი ორი წლის მანძილზე საქართველო სამშენებლო ნებართვების მიღების სიიოლის მაჩვენებლით იკავებს, ხოლო რაც შეეხება თავად ბიზნესის დაწყების პროცედურის სიმარტივესა და ხელმისაწვდომობას, 2011-2012 წლებში ამ პარამეტრის მიხედვით მეშვიდე ადგილზე ვართ. აღსანიშნავია ასევე, რომ რეიტინგში პოზიცია გაგვიუმჯობესდა გადასახადების გადახდის მხრივაც – 2011 წელს საქართველო 45-ე ადგილზე იმყოფებოდა, 2012-ში კი 33-ე ადგილი დაიკავა. ასევე, უკეთესი მდგომარეობაა საგარეო ვაჭრობის თვალსაზრისითაც – შარშანდელი 38-ე პოზიცია წინა წლის 47 ადგილზე ცხრა პუნქტით მაღალია. ასევე, ცხრა ადგილით წინ წაიწია საქართველომ კონტრაქტების შესრულების მხრივაც, რადგან შარშანდელი 30-ე ადგილი 2011 წლის 39-ე პოზიციასთან შედარებით საგრძნობი წინსვლაა.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოხსენებული წარმატებების ფონზე არის გარკვეული პოზიციების გაუარესების ფაქტებიც, რაც სარეიტინგო ადგილების შეცვლაში გამოიხატა. მაგალითად, შარშან მე-17-დან მე-19 ადგილზე გადავინაცვლეთ ინვესტიციების დაცვის უმნიშვნელოვანეს სფეროში, 75-ე ადგილიდან 81-ზე დავიხიეთ კომპანიების გადახდისუუნარობის (ბანკროტობის) საქმეთა წარმოების მხრივაც.

**ოთარ ტურაბელიძე**

ინფორმაცია

# დაკავებულია ნარკორეალიზატორი

**ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად დააკავეს ნარკოდანაშაულისთვის წარსულში ნასამართლევი , 1970 წელს დაბადებული ალექსანდრე ბ.**

**შს სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, სარეალიზაციოდ გამზადებული 23 აბი „სუბუტექსი“ ამოიღეს. გამოძიების ინფორმაციით, ნარკოტიკული საშუალება მან ბელგიიდან ფარულად შემოიტანა. როგორც გაირკვა, დაკავებული თითო აბს 500 ლარად ყიდდა.**

**ნარკოლოგიურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ბრალდებული დაკავების მომენტში ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იყო.**

**გამოძიება საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღება) მე-3 ნაწილით მიმდინარეობს, რაც უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.**

ინტერპრესი

**შვილები რამაზ, თემურ ხუროძეები, რძლები მანანა ჩხარტიშვილი, მანანა კერესელიძე, ლიანა კეჭაყმაძე, შვილიშვილები დავით, ლევან, გიორგი, ქეთევან, შვილთაშვილები რამაზ, გიორგი, ოთარ, დავით, მეგი, მარიამ, თემურიკო ხუროძეები, რძლები ქეთევან ნაჭყებია, სალომე აბესაძე, ნინო შარაშენიძე, სოფო მალაშხია, ძმისწულები გია, ზაზა ნიშნიანიძეები ოჯახებით, ცირა უგრეხელიძე, ლილი კიკნაძე, ინგა კორინთელი, ნანი ჭანიშვილი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მძახლები მწუხარებით იუწყებიან**

**ნაზი ნიშნიანიძე-ხუროძის**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2 III, 17 სთ. მისამართი: იაკობ ნიკოლაძის ქ. №4 (ფიქრის გორა). დაკრძალვა 3 III, 14 სთ. ამაღლების ეკლესიიდან (საბურთალოს სასაფლაო).**

---

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის რამაზ ხუროძის დედა**

**ნაზი ნიშნიანიძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**მანანა, დემურ მიქაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწეების რამაზ და თემურ ხუროძეების დედა, სათნო ქალბატონი**

**ნაზი ნიშნიანიძე-ხუროძე**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ჩვენი რედაქციის ძველ მეგობრებს, ცნობილ მეცნიერებს რამაზ და თემურ ხუროძეებს ძვირფასი დედის**

**ნაზი ნიშნიანიძე-ხუროძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიის ნამდვილი წევრი**

**თეიმურაზ ანდრონიკაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

## განცხადება

**2013 წლის 26 აპრილს, დღის 16 საათზე, დაბა ჯვარში, ანდრია პირველწოდებულის ქ. 50-ში მდებარე შპს „გზის“ ასფალტის ქარხნის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.**

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია რეგიონში საავტომობილო გზების რეაბილიტაცია და მშენებლობა.

საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

- ქ. თბილისი, გულუას ქ. №6. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო (ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი);
- დაბა ჯვარი, ანდრია პირველწოდებულის ქ. 50;
- ქ. თბილისი, აბო-თბილელის ქ. №12.

საზოგადოების წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ საკუთარი მოსაზრებების და კომენტარების გამოგზავნა შეუძლიათ მისამართზე: დაბა ჯვარი, ანდრია პირველწოდებულის ქ. 50.

საკონტაქტო პირები: ბაგრატ ღვინჯილია, ტელ: 599 11 99 94, გენადი უბირია, ტელ: 579 02 01 10.

მოსაზრებების და კომენტარების წარმოდგენის ვადაა 2013 წლის 25 აპრილის დღის 12 საათამდე.

**შპს „გზის“დირექტორი**
**ბ. ღვინჯილია**

---

**2013 წლის 26 აპრილს, დღის 12 საათზე, ჩხოროწყუს რაიონის ს. ლეწურწუმეში მდებარე შპს „გზის“ ასფალტის ქარხნის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.**

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია რეგიონში საავტომობილო გზების რეაბილიტაცია და მშენებლობა.

საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

- ქ. თბილისი, გულუას ქ. №6. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო (ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი);
- დაბა ჯვარი, ანდრია პირველწოდებულის ქ. 50, საწარმოს ადმინისტრაციული შენობა;
- ქ. თბილისი, აბო-თბილელის ქ. №12.

საზოგადოების წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ საკუთარი მოსაზრებების და კომენტარების გამოგზავნა შეუძლიათ მისამართზე: დაბა ჯვარი, ანდრია პირველწოდებულის ქ. 50.

საკონტაქტო პირები: ბაგრატ ღვინჯილია, ტელ: 599 11 99 94, გენადი უბირია, ტელ: 579 02 01 10.

მოსაზრებების და კომენტარების წარმოდგენის ვადაა 2013 წლის 25 აპრილის დღის 12 საათამდე.

**შპს „გზის“დირექტორი**
**ბ. ღვინჯილია**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 599 32-85-76.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კატაკლიზმი

# ჩებარკულის ტბის „კოსმიური აკლდამა“

**ჩელიაბინსკელი „ციური სტუმარი“, რომელიც 2013 წლის 15 თებერვალს ადგილობრივი დროით 9.20 საათზე ცაში სამხრეთ-აღმოსავლეთ მიმართულებიდან გამოჩნდა და შემდეგ ტბა ჩებარკულის მიდამოებში ჩამოვარდა, ეგრეთ წოდებული ჩვეულებრივი ხონდრიტების კლასის მეტეორიტი აღმოჩნდა.**

ეს დასკვნა ურალის ფედერალური ოლქის უნივერსიტეტის მეცნიერებმა მას შემდეგ გამოიტანეს, რაც მეტეორიტის 50 ფრაგმენტი შეისწავლეს. შავი ფერის ქვების ზომა დაახლოებით ერთი-ორი სანტიმეტრია და, როგორც ჩანს, სულ ეს არის, რაც 17-მეტრიანი სფეროსებრი ბოლიდისგან დარჩა. თვითმხილველები ამბობენ, რომ იგი დაღმავალი ტრაექტორიით მოძრაობდა, თან ზომებში იზრდებოდა, ხოლო მისი სიკაშკაშე დილის ცაზე უფრო მეტად თვალის მომჭრელი იყო. ვიდრე დაეცემოდა, მეტეორიტი ორ ნაწილად გაიყო და ცაში ტრაექტორიის ორი კვალი დატოვა. მეცნიერები აცხადებენ, რომ ასეთი ქვები დედამიწას წელიწადში რამდენიმეჯერ ეჯახებიან, მაგრამ ისინი ძირითადად უკაცრიელ რაიონებში, ან ოკეანეში ვარდებიან, ამიტომაც მათ „სტუმრობას“ აჟიოტაჟი არ ახლავს. ისინი ასევე ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ, როგორც ჩანს, მსგავსი რამ 1908 წლის 30 ივნისს მოხდა, როცა აღმოსავლეთ ციმბირში, მდინარე პოდკამენნაია ტუნგუსკის რაიონში ასევე კოსმიური სხეული ჩამოვარდა, რის შედეგად წარმოშობილმა დარტყმითმა ტალღამ 2100 კვადრატული კილომეტრის ფართობზე ტყე გადათელა და დედამიწას ორჯერ შემოუარა. მისი ჩამოვარდნის შემდეგ ატმოსფეროში ხუთი საათის განმავლობაში მაგნიტური ქარიშხალი მძვინვარებდა, კატასტროფის ადგილას კი მცენარეებმა მუტაცია განიცადეს, ხეების ზრდა დაჩქარდა, შეიცვალა ნიადაგის ქიმიური და ფიზიკური თვისებები. მაშინ, ას წელზე მეტი ხნის წინათ, კაცობრიობას გაუმართლა, რომ კოსმიური სხეული ტაიგის თავზე და სწორედ იმ დროს აფეთქდა. მეტეორიტს დედამიწასთან „პაემანზე“ ოთხი საათით რომ „დაეგვიანა“, იგი სანკტ-პეტერბურგს პირისაგან მიწისა აღგვიდა – იგი ხომ 60 მეტრის სიგრძისა იყო, ანუ ჩელიაბინსკურზე დაახლოებით 3,5-ჯერ დიდი. თუმცა საქმე არც ბოლიდის ზომებზეა, ამ შემთხვევაში მთავარია „სიზუსტე“: საშუალო ზომის – დაახლოებით 30-40 მეტრის მეტეორიტი ატომურ რეაქტორს რომ დაეჯახოს, ეს მეორე ჩერნობილი იქნება.

ჩელიაბინსკის მეტეორიტის ჩამოვარდნით მიყენებულმა ზარალმა, წინასწარი გათვლებით, მილიარდ რუბლზე მეტი შეადგინა, დაზარალდა 1431 კაცი, მათ შორის 311 ბავშვი. ბოლიდი დედამიწიდან 40 კილომეტრის სიმაღლეზე აფეთქდა, მისი სიმძლავრე 500 კილოტანა იყო.

ჩელიაბინსკის მეტეორიტი 10 პროცენტით ლითონისებრ რკინას შეიცავდა, მისი ძირითადი მასა კი, როგორც ვარაუდობენ, ტბა ჩებარკულის ფსკერზეა.

უნდა ითქვას, რომ პოლიცია მეცნიერებს მეტეორიტის დაცემის ადგილზე ახლაც არ უშვებს, თუმცა ტბის მახლობლად ნაპოვნი ნამსხვრევების ანალიზის შედეგად ისინი აცხადებენ, რომ მათ რადიოგამოსხივება 10 მიკრორენტგენი აქვთ, რაც ნორ-



მას შეესაბამება. – ცნობილია, რომ სხეულის ზომები ჩამოვარდნის შედეგად წარმოქმნილი კრატერის ზომებს პროპორციით 1:15-ზე შეეფარდება, – ამბობს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მეტეორიტების კომიტეტის წევრი ვიქტორ გოროხოვსკი. – ამდენად, კრატერის ზომებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტბის ფსკერზე დაახლოებით 50 სანტიმეტრის დიამეტრის მეტეორიტია, რომლის ამოღება სასწრაფოდაა საჭირო, ვიდრე იგი ქვიშამ არ შთანთქა.

გავრცელებული ინფორმაციით, ჩელიაბინსკის მეტეორიტის ყიდვის სურვილი ოფიციალურად უკვე ორმა კაცმა განაცხადა, თუმცა მისი ფასის დადგენა ჯერჯერობით უჭირთ. ვარაუდობენ, რომ ის გრამში ათასიდან 66 ათასამდე რუბლის (დაახლოებით 2,2 ათასი დოლარი) ფარგლებში შეიძლება მერყეობდეს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენ ნამსხვრევს მიაგნებენ – რაც უფრო ცოტას იპოვიან, მით უფრო მაღალი იქნება გრამის ფასი. მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მეტეორიტის სახეობასაც: მაგალითად, ქვის ბოლიდები რკინისაზე გაცილებით იაფია.

**ირმა ირემაშვილი**

ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან



### ვინ და რატომ უხდიდა ჩიორა თაქთაქიშვილს და მაგდა ანიკაშვილს მილიონებს

უფლებადამცველთა გაერთიანების თავკაცმა ნიკოლოზ მჟავანაძემ ახალი სალაპარაკო თემა გააჩინა. მან განაცხადა, რომ ჩიორა თაქთაქიშვილი, მაკა მეტრეველი და მაგდა ანიკაშვილი ბიუჯეტიდან თანხებს უკანონოდ იღებდნენ. საუბარია 4 მილიონი ლარის უკანონოდ მიღებაზე. ამ საკითხის გარკვევას მჟავანაძე პროკურატურაში აპირებს. ამ საქმეში გარეულია დავით ბაქრაძის მეუღლე მაკა მეტრეველიც. ფინანსთა სამინისტრო ყოველწლიურად მილიონ ლარს ურიცხავდა „საქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების“ ფონდს, სადაც ეს ქალბატონები მუშაობდნენ. მჟავანაძის განცხადებით, განათლებისა და სასჯელაღსრულების სამინისტროები ასრულებდნენ ტრანზიტის ფუნქციას და არ ანგარიშობდნენ, სად მიდიოდა ეს თანხა.

**„ახალი თაობა“**

### ხაიშის თემში შემავალი 27 სოფლის მოსახლეობა კვლავ გასახლების მოლოდინშია

ყველას კარგად გვახსოვს კოალიცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირება, რომ სეისმურობის მაღალი მაჩვენებლის ადგილებში დიდი ჰესებისა და ატომური ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა აიკრძალებოდა. სვანეთში „ხუდონჰესის“ მშენებლობა 200 მეტრი სიმაღლის თაღოვანი კაშხლისა და 702 მეგავატი სიმძლავრის მიწისქვეშა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას გულისხმობს, „ხუდონჰესი“, რომელსაც ინდურ-ქართული კომპანია აგებს, საქართველოში სიდიდით მეორე ადგილზეა. ეკოლოგების განცხადებით, ჰესის მშენებლობა სვანებს ეკოლოგიურ კატასტროფის წინაშე აყენებს. მალე ექსპერტები იმსჯელებენ იმ საკითხზე, „ხუდონჰესის“ მშენებლობა შეიძლება თუ არა.

**„ალია“**

### პროკურატურამ შეიძლება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მომხდარი ფაქტების გამოძიება დაიწყოს

მთავარი პროკურატურა უახლოეს მომავალში იმ საქმეების გამოძიებას დაიწყებს, რომელიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში მოხდა. ამის შესახებ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა. იგი ამბობს, რომ განცხადებით უკვე მიმართა მთავარ პროკურორს, თუმცა, როდის დაიწყება გამოძიება, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

**„რეზონანსი“**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ხანძარი

# დამწვარი „საბა“



**დედაქალაქის** სავაჭრო ცენტრ „საბაში“ 26 თებერვალს საღამოს გაჩენილმა ხანძარმა 6 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი სავაჭრო და სათავსო ფართი გაანადგურა.

ოცდათხუთმეტი სახანძრო ჯგუფი ცეცხლს ხუთ საათზე მეტ ხანს ებრძოდა, ვიდრე გამძვინვარებულ სტიქიას მოერეოდა. ხანძარმა ორასამდე მოვაჭრეს უდიდესი ზარალი მიაყენა, რომლის ანაზღაურება, დაზღვევის უქონლობის გამო, შეუძლებელი იქნება.

სავაჭრო ცენტრის მეპატრონის პაატა კაჭარავას განცხადებით, იგი ეჭვობს, რომ ხანძარი, შესაძლოა, მიზანმიმართულად გაჩნდა, რადგან დენის მოკლე ჩართვა არ ყოფილა.

**ლალი ხუნდაძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

კადრი



ანეკდოტები

**როდესაც** ფეხზე მყარად დგახარ, მეგობრები ხვდებიან, ვინ ხარ შენ.

როდესაც პოზიციები შეგისუსტდება, შენ ხვდები, ვინ არიან შენი მეგობრები.

* * *

**გუშინ** კინოში ვიყავი. ცოლმა სამჯერ გამაღვიძა, სხვებს ნუ უშლი ხელს ძილშიო.

* * *

**ოთხი** ფსიქიატრი შეიკრიბა სიმპოზიუმის შემდეგ, რომელშიც თვითონაც მონაწილეობდნენ, და საუბრობენ.

– ჩვენთან სულ მოდიან თავიანთი დანაშაულისა თუ შიშის გრძნობით შეპყრობილი ადამიანები, – ამბობს ერთი, – მაგრამ როდესაც ასეთივე პრობლემები ჩვენც შეგვექმნება ხოლმე, ჩვენ ვერავისთან ვერ მივდივართ.



– რაკი ასეა და რახან აქ ყველანი პროფესიონალები ვართ, – ამბობს მეორე, – მოდით, ახლავე მოვუსმინოთ და გავუზიაროთ ჩვენი პრობლემები ერთმანეთს.

ყველანი დაეთანხმნენ.

– ხშირად ისე ძლიერ მინდა ყველა ჩემი პაციენტის დახოცვა, რომ თავს ძლივს ვიკავებ, – ამბობს ერთი.

– მე ძალიან მიყვარს ძვირფასი ნივთები და მათ შესაძენად ხშირად დამყავს ჩემი კლიენტები, – ამბობს მეორე.

– მე კი ნარკოტიკებს ვყიდი და ამ საქმეში ხშირად ჩემს პაციენტებსაც ჩავრთავ ხოლმე, – გამოტყდება მესამე.

– ვიცი, რომ ჩემზე ამას ძნელად თუ იტყვის ვინმე, მაგრამ რამდენიც არ უნდა მოვინდომო, ჩემთვის განდობილ საიდუმლოს ვერაფრით ვერ ვინახავ, – ამბობს მეოთხე.

* * *

– **თუ** კიდევ ერთხელ შემეპასუხები, იცოდე, გაკოცებ, – ეუბნება ტიპი ახალშერთულ მეუღლეს.

– ვერა, ვერ მაკოცებ...

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com